ევროკავშირის მოღვაწეობა

ევროკავშირის ინსტიტუტების მუშაობის მექანიზმი

საინფორმაციო ხასიათის ბროშურა მოქალაქეებისთვის

სარჩევი

რა არის ევროკავშირი	3
ხელშეკრულებები და გადაწყვეტილების მიღების პროცესი	5
ევროპარლამენტი: ხალხის ხმა	10
ევროკავშირის საბჭო: წევრ სახელმწიფოთა ხმა	14
ევროკომისია: საერთო ინტერესის ხორცშესხმის ხელშეწყობა	20
მართლმსაჯულების სასამართლო: კანონის შესრულების უზრუნველყოფა	25
აუდიტორთა ევროპული სასამართლო: ევროკავშირის სახსრების სათანადო გამოყენების მეთვალყურეობა	28
ცენტრალური ევროპული ბანკი: ევროს მართვა	30
ეკონომიკურ და სოციალურ საკითხთა ევროპული კომიტეტი: სამოქალაქო საზოგადოების ხმა	32
რეგიონული კომიტეტი: ადგილობრივ მთავრობათა ხმა	34
ევროპის საინვესტიციო ბანკი: ევროკავშირის პროექტების დაფინანსება	36
ევროპელი ომბუდსმენი: მოქალაქეთა საჩივრების განხილვა	38
სააგენტოები	40
მზერა მომავლისკენ	46

რა არის ევროკავშირი

თავისი არსებობის ნახევარი საუკუნის განმავლობაში ევროკავშირმა განსაცვიფრებელ წარმატებებს მიაღწია. მან დაამყარა მშვიდობა თავის წევრ სახელმწიფოებს შორის და კეთილდღეობა მოუტანა საკუთარ მოქალაქეებს. ევროკავშირმა დააარსა საერთოევროპული ფულადი ერთეული (ევრო) და „საერთო ბაზარი“ საზღვრებს გარეშე. ამ ბაზარზე საქონელი, ადამიანები, მომსახურება და კაპიტალი თავისუფლად მოძრაობენ. ევროკავშირი ექვსიდან თხუთმეტ წევრ სახელმწიფომდე გაიზარდა და კიდევ ბევრი ქვეყნის შემოერთებას აპირებს. იგი უმთავრესი სავაჭრო ძალა და მსოფლიო მასშტაბის ლიდერი გახდა ისეთ სფეროებში, როგორიც არის გარემოს დაცვა და განვითარებისკენ მიმართული დახმარება.

ევროკავშირის წარმატება მნიშვნელოვნად უმადლის მის უნიკალურ ბუნებას და მუშაობის მექანიზმს. ევროკავშირი არ არის ამერიკის შეერთებული შტატების მსგავსი ფედერაცია, არც მთავრობებს შორის თანამშრომლობის უბრალო საორგანიზაციო ფორმაა, როგორც გაერთიანებული ერების ორგანიზაცია. ის ქვეყნები, რომლებიც შეადგენენ ევროკავშირს (მისი „წევრი სახელმწიფოები“), დამოუკიდებელი სუვერენული ქვეყნებია, მაგრამ ისინი აერთიანებენ თავ-თავიანთ სუვერენიტეტს, რათა მიაღწიონ ისეთ ძლიერებასა და მსოფლიო გავლენას, რომლებსაც ცალ-ცალკე ვერც ერთი მათგანი ვერ მიაღწევდა.

რეალობაში სუვერენიტეტის გაერთიანება ნიშნავს, რომ გადაწყვეტილების მიღების თავიანთი უფლებამოსილების ნაწილს წევრი სახელმწიფოები გადასცემენ მათ მიერვე შექმნილ ევროპულ ინსტიტუტებს, რაც მიზნად ისახავს საერთო ინტერესის კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებათა ევროპულ დონეზე დემოკრატიულად მიღების შესაძლებლობას.

გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილების მქონე სამი ძირითადი ინსტიტუტია:

- ***ევროპარლამენტი,*** *რომელიც წარმოადგენს ევროკავშირის მოქალაქეებს და უშუალოდ მათ მიერ არის არჩეული;*

- ***ევროკავშირის საბჭო,*** *რომელიც წარმოადგენს ცალკეულ წევრ სახელმწიფოებს;*

- ***ევროკომისია,*** *რომლის მიზანია ევროკავშირის, როგორც ერთობის, ინტერესების დაცვა.*

ეს „ინსტიტუციური სამკუთხედი“ იმუშავებს სწორედ პოლიტიკასა და კანონებს (დირექტივებს, დადგენილებებსა და გადაწყვეტილებებს), რომლებიც მთელი ევროკავშირის მასშტაბით მოქმედებს.

სახელმძღვანელო წესები და პროცედურები ინსტიტუტებისთვის ჩამოყალიბებულია ხელშეკრულებებში, რომლებიც შეთანხმებულია წევრ სახელმწიფოთა პრეზიდენტებსა და პრემიერ–მინისტრებთან და რატიფიცირებულია მათი პარლამენტების მიერ.

ევროკავშირის ახალ კანონებთან დაკავშირებულ წინადადებებს ევროკომისია წამოჭრის, ხოლო პარლამენტი და საბჭო ამტკიცებენ მათ.

***მართლმსაჯულების სასამართლო** იცავს ევროპული კანონის უზენაესობას, ხოლო **აუდიტორთა სასამართლო** აკონტროლებს ევროკავშირის სხვადასხვა სახის საქმიანობის დაფინანსებას.*

სისტემაში კიდევ ხუთი სხვა უწყება შედის:

- ***ეკონომიკურ და სოციალურ საკითხთა ევროპული კომიტეტი** წარმოადგენს სამოქალაქო საზოგადოებას და ინდუსტრიის ორ მხარეს;*
- ***რეგიონული კომიტეტი** წარმოადგენს რეგიონულ და ადგილობრივ ხელისუფლებას;*
- ***ცენტრალური ევროპული ბანკი** პასუხს აგებს ევროპის მონეტარულ პოლიტიკაზე;*
- ***ევროპის საინვესტიციო ბანკი** აფინანსებს ევროკავშირის საინვესტიციო პროექტებს;*
- ***ევროპელი ომბუდსმენი** იცავს ევროკავშირის მოქალაქეებსა და ორგანიზაციებს არასათანადო მმართველობისგან.*

გარდა ამისა, ჩამოყალიბდა სპეციალური სააგენტოები გარკვეული ტექნიკური, სამეცნიერო თუ მმართველობითი ამოცანების შესასრულებლად.

წინამდებარე ბროშურაში დაწვრილებით არის განხილული, თუ რას აკეთებს თითოეული ინსტიტუტი და უწყება, განხილულია, აგრეთვე, მათი მუშაობის მექანიზმები. ბროშურის მიზანია, გაარკვიოს მოქალაქეები, თუ როგორ მოქმედებს გადაწყვეტილების მიღების სისტემა დღევანდელ ევროკავშირში.

ხელშეკრულებები და გადაწყვეტილებათა მიღება

ევროკავშირი ოთხ ხელშეკრულებას ეფუძნება. ეს ხელშეკრულებებია:

- **ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც დაარსდა ევროპის ქვანახშირის მომპოვებელი და ფოლადის მწარმოებელი ქვეყნების თანამეგობრობა.** ხელშეკრულებას 1951 წლის 18 აპრილს პარიზში მოეწერა ხელი, იგი 1952 წლის 23 ივლისს ამოქმედდა და 2002 წლის 23 ივლისს ამოეწურა მოქმედების ვადა;

- **ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც დაარსდა ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობა.** ხელშეკრულებას 1957 წლის 25 მარტს რომში მოეწერა ხელი და იგი 1958 წლის 1 იანვარს ამოქმედდა;

- **ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც დაარსდა ევროპის ატომური ენერგიის თანამეგობრობა** („ევრატომი"). ამ ხელშეკრულებას ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობის შესახებ ხელშეკრულებასთან ერთად მოეწერა ხელი რომში. ამ ორ ხელშეკრულებას ხშირად „რომის ხელშეკრულებებად" მოიხსენიებენ. „რომის ხელშეკრულების" მოხსენიებისას მხოლოდ ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობის შესახებ ხელშეკრულება იგულისხმება;

- **ხელშეკრულება ევროკავშირის შესახებ.** ამ ხელშეკრულებას 1992 წლის 7 თებერვალს მაასტრიხტში მოეწერა ხელი და იგი 1993 წლის 1 ნოემბერს ამოქმედდა.

პირველი სამი ხელშეკრულების საფუძველზე შეიქმნა სამი „ევროპული თანამეგობრობა", ანუ ქვანახშირთან, ფოლადთან, ატომურ ენერგიასთან და წევრ ქვეყანათა ეკონომიკის სხვა ძირითად სექტორებთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებათა ერთობლივად მიღების სისტემა. თანამეგობრობის ინსტიტუტები, რომლებიც ამ სისტემის მართვის მიზნით დაარსდა, 1967 წელს შეერწყა ერთმანეთს და ჩამოყალიბდა ერთი კომისია და ერთი საბჭო.

გარდა თავისი როლისა ეკონომიკურ საკითხებში, ევროპის ეკონომიკურმა თანამეგობრობამ დროთა განმავლობაში უფრო ფართო პასუხისმგებლობა იკისრა, მათ შორის, სოციალური, გარემოსდაცვითი და რეგიონული პოლიტიკის სფეროებში. ვინაიდან ეს უკვე აღარ იყო მხოლოდ ეკონომიკური თანამეგობრობა, მეოთხე (მაასტრიხტის) ხელშეკრულების საფუძველზე მას „ევროპის თანამეგობრობა" ეწოდა.

მაასტრიხტის ხელშეკრულებამ შემოიღო, ასევე, წევრ სახელმწიფოთა მთავრობებს შორის თანამშრომლობის ახალი ფორმებიც, მაგალითად, თავდაცვისა და „მართლმსაჯულებისა და შინაგან საქმეთა" სფეროებში. თანამეგობრობის არსებული



ევროკავშირი ემყარება თავის ხელშეკრულებებს. მისი სამი „საყრდენი ბურჯი" წარმოადგენს პოლიტიკის სხვადასხვა სფეროს გადაწყვეტილებათა მიღების განსხვავებული სისტემებით.

სისტემისთვის ამ მთავრობათაშორისი თანამშრომლობის დამატებით მაასტრიხტის ხელშეკრულებამ ჩამოაყალიბა ახალი სტრუქტურა სამი „საყრდენი ბურჯით“. ეს სტრუქტურა როგორც პოლიტიკურ, ისე ეკონომიკურ ხასიათს ატარებს. ეს არის ევროკავშირი.

ხელშეკრულებები უდევს საფუძვლად ყველაფერს, რასაც ევროკავშირი აკეთებს. როდესაც საჭიროა ხელშეკრულებათა განახლება და მათში დამატებების შეტანა, ეს კეთდება ევროკავშირის წევრ ქვეყანათა მთავრობების საგანგებო კონფერენციის (მთავრობათაშორისი კონფერენციის) მიერ.

ხელშეკრულებები იმდენჯერ შესწორდა, რამდენი ახალი წევრიც დაემატა ევროკავშირს. გარდა ამისა, დაახლოებით ყოველ ათწლეულში ხდებოდა ხელშეკრულებათა შესწორება ევროკავშირის ინსტიტუტების რეფორმირებისა და მათთვის პასუხისმგებლობის ახალი სფეროების დაკისრების მიზნით.

- 1986 წლის თებერვალში ხელი მოეწერა ერთიან ევროპულ აქტს, რომელიც 1987 წლის 1 ივლისს ამოქმედდა. ამ აქტის საფუძველზე შესწორდა ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობის შესახებ ხელშეკრულება. აქტმა გზა დაუსახა საერთო ბაზრის ჩამოყალიბებას;
- 1997 წლის 2 ოქტომბერს ხელი მოეწერა ამსტერდამის ხელშეკრულებას. ეს ხელშეკრულება 1999 წლის 1 მაისს ამოქმედდა. მის საფუძველზე შესწორდა ევროკავშირისა და ევროპის თანამეგობრობის შესახებ ხელშეკრულებები, ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულების მუხლებს მიენიჭა რიგითი ნომრები (ნაცვლად ასოებისა);
- ნიცის ხელშეკრულებას 2001 წლის 26 თებერვალს მოეწერა ხელი და იგი ძალაში 2003 წლის 1 თებერვალს შევიდა. მის საფუძველზე შესწორდა სხვა ხელშეკრულებები და მოხდა ევროკავშირის ინსტიტუციური სისტემის იმგვარად მოდერნიზება, რომ მას მისცემოდა შესაძლებლობა, უფრო ეფექტიანად ემუშავა 2004 წელს წევრ სახელმწიფოთა ახალი ნაკადის შემოერთების შემდეგ.

გადაწყვეტილებათა მიღება ევროკავშირის დონეზე სხვადასხვა ევროპულ ინსტიტუტებს აკისრია, სახელდობრ:

- ევროკომისიას;
- ევროპარლამენტს;
- ევროკავშირის საბჭოს.

იდეები, რომლებიც ევროკავშირის შექმნას დაედო საფუძვლად, პირველად 1950 წლის 9 მაისს რობერ შუმანის (საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი) სიტყვაში გაისმა. ამიტომ ყოველწლიურად 9 მაისს ევროპის დღე აღინიშნება.

სამი „საბჭო“: რომელი რომელია?

ადამიანები ადვილად იბნევიან იმასთან დაკავშირებით, თუ რომელი ევროპული უწყება რომელია – განსაკუთრებით იმის გამო, რომ ძალზე განსხვავებულ უწყებებს ძალზე მსგავსი სახელები ჰქვია, როგორც ეს სამი „საბჭოს“ შემთხვევაშია.

ევროპული საბჭო
ეს საბჭო შედგება ევროკავშირის ყველა წევრი სახელმწიფოს თუ მთავრობის მეთაურების (ანუ პრეზიდენტების და/ან პრემიერ-მინისტრების) და ევროკომისიის პრეზიდენტისაგან. ევროპული საბჭო, ძირითადად, წელიწადში ოთხჯერ იკრიბება, რათა შეათანხმოს ევროკავშირის ზოგადი პოლიტიკა და განიხილოს არსებული ვითარება. ეს არის ევროკავშირის პოლიტიკის შემმუშავებელი უმაღლესი დონის უწყება. სწორედ ამიტომ მის შეხვედრებს ხშირად „სამიტებს“ უწოდებენ.

ევროკავშირის საბჭო
უწინ ეწოდებოდა **მინისტრთა საბჭო**. ეს უწყება შედგება ევროკავშირის ყველა წევრი სახელმწიფოს მთავრობათა მინისტრებისაგან. საბჭო რეგულარულად იკრიბება, რათა მიიღოს საფუძვლიანი გადაწყვეტილებები და დაამტკიცოს ევროპული კანონები. მის საქმიანობას უფრო დაწვრილებით ქვემოთ განვიხილავთ.

ევროპის საბჭო
ეს არ არის ევროკავშირის ინსტიტუტი. ევროპის საბჭო მთავრობათაშორისი ორგანიზაციაა, რომელიც მიზნად ისახავს (სხვა საკითხებთან ერთად) ადამიანის უფლებათა დაცვას, ევროპის კულტურული მრავალფეროვნების ხელშეწყობას და რასობრივი შეუწყნარებლობის მსგავსი სოციალური პრობლემების წინააღმდეგ ბრძოლას. ევროპის საბჭო 1949 წელს დაარსდა. მისი ერთ-ერთი ადრეული მნიშვნელოვანი მიღწევა იყო ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის შექმნა. იმისათვის, რომ მოქალაქეებს მისცემოდათ შესაძლებლობა, ესარგებლათ კონვენციით გათვალისწინებული უფლებებით, საბჭომ დააარსა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო. ევროპის საბჭოში ამჟამად 45 წევრი სახელმწიფოა, მათ შორის, ევროკავშირის 15 წევრი ქვეყანაც. საბჭო სტრასბურგში (საფრანგეთი), ევროპის სასახლეში მდებარეობს.

ევროკავშირის ახალ კანონმდებლობასთან დაკავშირებულ წინადადებებს ევროკომისია წამოჭრის, ხოლო პარლამენტი და ევროკავშირის საბჭო ამტკიცებენ კანონებს. კონკრეტულ სფეროებში სხვა ინსტიტუტებიც თამაშობენ გარკვეულ როლს, რაც ქვემოთ უფრო დაწვრილებით იქნება განხილული.

სახელმძღვანელო წესები და პროცედურები ევროკავშირის მასშტაბით გადაწყვეტილებათა მისაღებად ჩამოყალიბებულია ხელშეკრულებებში. ყოველი ევროპული კანონი ემყარება ხელშეკრულების კონკრეტულ მუხლს, რომელიც მოიხსენიება კანონმდებლობის „სამართლებრივ საფუძვლად“.

ევროკავშირის კანონების მისაღებად სამი ძირითადი პროცედურა არსებობს:

- კონსულტაცია;
- შეთანხმება;
- გადაწყვეტილების ერთობლივად მიღება.

ძირითადი განსხვავება ამ პროცედურებს შორის არის პარლამენტისა და საბჭოს ურთიერთობის მეთოდი: **კონსულტაციის პროცედურის** ფარგლებში პარლამენტი უბრალოდ გამოთქვამს თავის მოსაზრებას, ხოლო **გადაწყვეტილების ერთობლივად მიღების პროცედურის** ფარგლებში პარლამენტს ისეთივე უფლებამოსილება აქვს მინიჭებული, როგორც საბჭოს. ახალ კანონთან დაკავშირებული წინადადების წამოჭრისას ევროკომისიამ უნდა აირჩიოს, თუ რომელ პროცედურას უნდა მისდიონ. არჩევანი დამოკიდებული იქნება წინადადების „სამართლებრივ საფუძველზე“ – ანუ ხელშეკრულების რომელ მუხლს ემყარება ეს წინადადება. ქვემოთ უფრო დაწვრილებით განვიხილავთ აღნიშნულ სამ პროცედურას:

1. კონსულტაცია

კონსულტაციის პროცედურის ფარგლებში ევროკომისია უგზავნის თავის წინადადებას საბჭოსაც და პარლამენტსაც, მაგრამ ოფიციალურად საბჭო უნდა მოეთათბიროს როგორც პარლამენტს, ისე სხვა უწყებებს – ეკონომიკურ და სოციალურ საკითხთა ევროპულ კომიტეტსა და რეგიონულ კომიტეტს, რომელთა

მოსაზრებები ევროკავშირში გადაწყვეტილებათა მიღების პროცესის შემადგენელი ნაწილია.

ზოგიერთ შემთხვევაში კონსულტაცია სავალდებულოა, ვინაიდან ამას სამართლებრივი საფუძველი მოითხოვს და წინადადება ვერ მიიღებს კანონის სახეს, თუ პარლამენტს არ ექნება გამოთქმული თავისი მოსაზრება. სხვა შემთხვევებში კონსულტაციას არა აქვს სავალდებულო ხასიათი და ევროკომისია უბრალოდ შესთავაზებს საბჭოს, მოეთათბიროს პარლამენტს.

ნებისმიერ შემთხვევაში, პარლამენტს შეუძლია:
- დაამტკიცოს კომისიის წინადადება;
- უარყოს იგი;
- მოითხოვოს მისი შესწორება.

თუ პარლამენტი მოითხოვს წინადადების შესწორებას, კომისია გაითვალისწინებს პარლამენტის მიერ შემოთავაზებულ ყველა ცვლილებას. თუ ცვლილება მიღებული იქნება, კომისია საბჭოს შესწორებულ წინადადებას გაუგზავნის.

საბჭო განიხილავს შესწორებულ წინადადებას და ან მიიღებს მას არსებული სახით, ანდა თავიდან შეასწორებს. ამ პროცედურის, ისევე, როგორც ყველა დანარჩენის, შემთხვევაში, თუ საბჭო შეასწორებს კომისიის წინადადებას, მან ეს **ერთსულოვნად** უნდა გააკეთოს.

კონსულტაციის პროცედურა შემდეგ სფეროებს მოიცავს:
- პოლიციისა და სასამართლო სისტემების თანამშრომლობა სისხლის სამართლის საკითხებში;
- ხელშეკრულებათა გადახედვა;
- დისკრიმინაცია სქესის, რასის თუ ეთნიკური წარმომავლობის, რელიგიური თუ პოლიტიკური შეხედულებების, ინვალიდობის, ასაკისა თუ სექსუალური ორიენტაციის ნიადაგზე;
- ევროკავშირის მოქალაქეობა;
- სოფლის მეურნეობა;
- ვიზები, თავშესაფარი, იმიგრაცია და ადამიანთა თავისუფლად გადაადგილებასთან დაკავშირებული სხვა წესები;
- ტრანსპორტი (არის თუ არა სავარაუდო, რომ ის მნიშვნელოვან ზეგავლენას მოახდენს ამა თუ იმ რეგიონებზე);
- კონკურენციის წესები;
- საგადასახადო რეგულირება;
- ეკონომიკური პოლიტიკა;
- „გაძლიერებული თანამშრომლობა“ – ანუ შეთანხმება, რომელიც საშუალებას მისცემს წევრ სახელმწიფოთა ჯგუფს, ერთად იმუშაონ კონკრეტულ სფეროში, იმ შემთხვევაშიც კი, თუ სხვა სახელმწიფოებს ჯერ არ სურთ მათთან შეერთება.

ზოგიერთ სფეროში, მაგალითად, გადასახადების დაწესებაში, საბჭოს გადაწყვეტილება ერთსულოვანი უნდა იყოს.

2. შეთანხმება

შეთანხმების პროცედურა გულისხმობს, რომ გარკვეული, ძალზე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებამდე საბჭომ ევროპარლამენტის თანხმობა უნდა მიიღოს.

პროცედურა იგივეა, რაც კონსულტაციის შემთხვევაში, გარდა იმისა, რომ პარლამენტს არ შეუძლია წინადადების შესწორება: მან ან უნდა მიიღოს ეს წინადადება, ან უარყოს. მიღებისათვის („თანხმობისათვის“) საჭიროა ხმათა **აბსოლუტური უმრავლესობა.**

შეთანხმების პროცედურა ვრცელდება შემდეგ სფეროებზე:
- ევროპის ცენტრალური ბანკის გარკვეული ამოცანები;
- ცენტრალური ბანკების ევროპული სისტემის/ევროპის ცენტრალური ბანკის წესდებათა შესწორება;
- სტრუქტურული ფონდები და საინტეგრაციო ფონდები;
- ერთიანი საარჩევნო პროცედურა ევროპარლამენტისთვის;
- გარკვეული საერთაშორისო შეთანხმებები;
- ახალი წევრი სახელმწიფოების მიერთება.

3. გადაწყვეტილების ერთობლივად მიღება

გადაწყვეტილების ერთობლივად მიღების პროცედურის ფარგლებში პარლამენტი და საბჭო ინაწილებენ საკანონმდებლო უფლებამოსილებას. თავის წინადადებას კომისია ორივე ინსტიტუტს უგზავნის. თითოეული მათგანი კითხულობს მას და მორიგეობით განიხილავს. თუ პარლამენტი და საბჭო ვერ თანხმდებიან წინადადებასთან დაკავშირებით, მას „**მომრიგებელ კომიტეტს**“ წარუდგენენ. ეს კომიტეტი შედგება საბჭოსა და პარლამენტის თანაბარი რაოდენობის წარმომადგენელთაგან. კომიტეტის სხდომებს ევროკომისიის წარმომადგენლებიც ესწრებიან და მონაწილეობას იღებენ დისკუსიებში. როდესაც კომიტეტი მიიღებს გადაწყვეტილებას, შეთანხმებული ტექსტი ეგზავნება პარლამენტსა და საბჭოს მესამე წაკითხვისათვის, რათა საბოლოოდ მიიღონ კანონის სახით.

უფრო დაწვრილებით პროცედურა შემდეგ დიაგრამაზეა ნაჩვენები:



გადაწყვეტილების ერთობლივად მიღების პროცედურა ვრცელდება შემდეგ სფეროებზე:

- ეროვნების ნიადაგზე დისკრიმინაციის აღკვეთა;
- გადაადგილებისა და ცხოვრების უფლება;
- მშრომელთა თავისუფალი გადაადგილების უფლება;
- მიგრანტი მშრომელების სოციალური დაცვა;
- დაფუძნების უფლება;
- ტრანსპორტი;
- შიდა ბაზარი;
- დასაქმება;
- საბაჟო თანამშრომლობა;
- სოციალური გარიყვის წინააღმდეგ ბრძოლა;
- თანაბარი შესაძლებლობები და თანაბარი დამოკიდებულება;
- ევროპის სოციალურ ფონდთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების განხორციელება;
- განათლება;
- პროფესიული მომზადება;
- კულტურა;
- ჯანდაცვა;
- მომხმარებელთა დაცვა;
- ტრანსევროპული ქსელები;
- ევროპის რეგიონული განვითარების ფონდთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების განხორციელება;
- კვლევა;
- გარემოს დაცვა;
- გამჭვირვალობა;
- თაღლითობის თავიდან აცილება და მასთან ბრძოლა;
- სტატისტიკა;
- მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებული საკონსულტაციო უწყების დაარსება.

ევროპის პარლამენტი: ხალხის ხმა

უმთავრესი მონაცემები:

როლი:	*ევროკავშირის საკანონმდებლო ორგანო, რომლის არჩევა პირდაპირი წესით ხდება*
შემდეგი არჩევნები:	*2004 წლის ივნისი*
სხდომები:	*ყოველთვიური პლენარული სესიები სტრასბურგში, კომიტეტების სხდომები და დამატებითი სესიები ბრიუსელში*
მისამართი:	*Plateau du Kirchberg, B. P. 1601L-2929 Luxembourg*
ტელეფონი:	*(352) 4300-1*
ინტერნეტი:	*www.europarl.eu.int*

ევროპარლამენტის წევრები სხდომებს ატარებენ არა ეროვნულ ბლოკებში, არამედ ევროპის მასშტაბის პოლიტიკურ ჯგუფებში, რომლებიც აერთიანებს ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში მოქმედ ყველა ძირითად პოლიტიკურ პარტიას.

ქვემოთ მოცემულია პარლამენტში ადგილების რაოდენობა პოლიტიკური ჯგუფების მიხედვით, 2003 წლის 1 აპრილის მდგომარეობით:

პოლიტიკური ჯგუფი	**ადგილების რაოდენობა**
ევროპის სახალხო პარტია (ქრისტიან-დემოკრატები) და ევროპის დემოკრატები	232
ევროპის სოციალისტების პარტია	175
ევროპის ლიბერალთა, დემოკრატთა და რეფორმისტთა პარტია	52
ევროპის გაერთიანებული მემარცხენეები / ჩრდილოეთის მწვანე მემარცხენეები	49
მწვანეები/ევროპის თავისუფალი ალიანსი	44
ერთა ევროპის კავშირი	23
დემოკრატია და მრავალფეროვნება ევროპაში	18
უპარტიოები	31
სულ	624

ევროპარლამენტი 1950-იან წლებში, დამფუძნებელი ხელშეკრულებების საფუძველზე შეიქმნა. 1979 წლიდან ევროპარლამენტის წევრების არჩევა ხდება უშუალოდ იმ მოქალაქეთა მიერ, რომელთაც ეს წევრები წარმოადგენენ.

საპარლამენტო არჩევნები ხუთ წელიწადში ერთხელ იმართება და ევროკავშირის ყოველ მოქალაქეს, რომელიც რეგისტრირებულია ამომრჩევლად, აქვს ხმის მიცემის უფლება. ამგვარად, პარლამენტი გამოხატავს ევროკავშირის 374 მილიონი მოქალაქის დემოკრატიულ ნებას და წარმოადგენს მათ ინტერესებს ევროკავშირის სხვა ინსტიტუტებთან დისკუსიებში.

2002 წელს ევროპარლამენტის პრეზიდენტად პატ კოქსი იქნა არჩეული.

ადგილების რაოდენობა ქვეყნების მიხედვით

(ანბანური რიგით, ქვეყნის ენაზე მისი სახელწოდების მიხედვით)

	1999 –04	2004 –07	2007 –09
ბელგია	25	24	24
ბულგარეთი	–	–	18
კვიპროსი	–	6	6
ჩეხეთის რესპუბლიკა	–	24	24
დანია	16	14	14
გერმანია	99	99	99
საბერძნეთი	25	24	24
ესპანეთი	64	54	54
ესტონეთი	–	6	6
საფრანგეთი	87	78	78
უნგრეთი	–	24	24
ირლანდია	15	13	13
იტალია	87	78	78
ლატვია	–	9	9
ლიტვა	–	13	13
ლუქსემბურგი	6	6	6
მალტა	–	5	5
ნიდერლანდები	31	27	27
ავსტრია	21	18	18
პოლონეთი	–	54	54
პორტუგალია	25	24	24
რუმინეთი	–	–	36
სლოვაკეთი	–	14	14
სლოვენია	–	7	7
ფინეთი	16	14	14
შვეცია	22	19	19
გაერთიანებული სამეფო	87	78	78

სად მდებარეობს ევროპარლამენტი?

ევროპარლამენტი მუშაობს საფრანგეთში, ბელგიასა და ლუქსემბურგში.

ყოველთვიური პლენარული სესიები, რომლებსაც ევროპარლამენტის ყველა წევრი ესწრება, ტარდება სტრასბურგში (საფრანგეთი) – ეს არის პარლამენტის „რეზიდენცია“. საპარლამენტო კომიტეტების შეხვედრები და ნებისმიერი სხვა პლენარული სესიები იმართება ბრიუსელში (ბელგია), ლუქსემბურგში კი განლაგებულია ადმინისტრაციული ოფისები („გენერალური სამდივნო“).

რას აკეთებს ევროპარლამენტი?

ევროპარლამენტს სამი ძირითადი როლი აკისრია:

1. საბჭოსთან ერთად პარლამენტს აკისრია **საკანონმდებლო ძალაუფლება.** ის ფაქტი, რომ ევროპარლამენტი პირდაპირი გზით არჩეული ორგანოა, ხელს უწყობს ევროპული კანონმდებლობის დემოკრატიული კანონიერების გარანტირებას;
2. პარლამენტი ახორციელებს ევროკავშირის ყველა ინსტიტუტის, განსაკუთრებით კი ევროკომისიის **დემოკრატიულ მეთვალყურეობას.** მას მინიჭებული აქვს უფლებამოსილება, დაამტკიცოს ან უარყოს კომისართა დანიშვნა, გარდა ამისა, აქვს უფლება, უნდობლობა გამოუცხადოს კომისიას;
3. საბჭოსთან ერთად პარლამენტს აკისრია **ევროკავშირის ბიუჯეტთან დაკავშირებული უფლებამოსილება** და, ამდენად, ზეგავლენის მოხდენა შეუძლია ევროკავშირის მასშტაბით სახსრების ხარჯვაზე. პროცედურის ბოლოს ევროპარლამენტი ამტკიცებს ან აურყოფს მთლიან ბიუჯეტს.

აღნიშნული ფუნქციები ქვემოთ უფრო დაწვრილებით არის აღწერილი.

1. საკანონმდებლო ძალაუფლება

ევროკავშირის კანონმდებლობის მიღების (ანუ დამტკიცების) ყველაზე ჩვეულებრივი პროცედურაა „გადაწყვეტილების ერთობლივად მიღება“ (იხ. ზემოთ, „ხელშეკრულებები და გადაწყვეტილებათა მიღება“). ეს საბჭოსა და ევროპარლამენტს თანაბარ მდგომარეობაში აყენებს და ამ პროცედურის საფუძველზე მიღებული კანონები საბჭოსა და პარლამენტის ერთობლივი აქტებია. პროცედურა გამოიყენება ფართო სპექტრის სფეროებში კანონმდებლობის მიღებისას.

რიგ სხვა წინადადებებთან დაკავშირებით საჭიროა ევროპარლამენტთან კონსულტაციების ჩატარება. პარლამენტის თანხმობა აუცილებელია ზოგიერთი მნიშვნელოვანი პოლიტიკური თუ ინსტიტუციური გადაწყვეტილების მისაღებად.

გარდა ამისა, ევროპარლამენტი სტიმულს აძლევს ახალი კანონმდებლობის მიღებას: იგი შეისწავლის ევროკომისიის წლიურ სამუშაო პროგრამას, ბჭობს იმის თაობაზე, თუ როგორი ახალი კანონები იქნება საჭირო, და წინადადებების წამოჭრის თხოვნით მიმართავს კომისიას.

2. დემოკრატიული მეთვალყურეობა

პარლამენტი ახორციელებს ევროკავშირის სხვა ინსტიტუტების დემოკრატიულ მეთვალყურეობას. ის ამას რამდენიმე გზით აკეთებს.

უპირველეს ყოვლისა, როდესაც უნდა დაინიშნოს ახალი კომისია, პარლამენტი ესაუბრება ყველა სავარაუდო ახალ წევრს და კომისიის პრეზიდენტს (რომლებსაც წევრი სახელმწიფოები წამოაყენებენ). კომისიის წევრების დანიშვნა არ შეიძლება პარლამენტის თანხმობის გარეშე.

მეორე, პოლიტიკური თვალსაზრისით კომისია ანგარიშვალდებულია პარლამენტის წინაშე, რომელსაც შეუძლია უნდობლობა გამოუცხადოს კომისიას და მოითხოვოს წევრების ერთიანად გადადგომა.

უფრო ზოგადად, პარლამენტი ახორციელებს კონტროლს მისთვის კომისიის მიერ გაგზავნილი ანგარიშების (ზოგადი ანგარიშების, ბიუჯეტის შესრულების თაობაზე ანგარიშების, თანამეგობრობის კანონმდებლობის შესრულების თაობაზე ანგარიშებისა და ა.შ.) რეგულარული შესწავლის მეშვეობით. გარდა ამისა, ევროპარლამენტის წევრები რეგულარულად უსვამენ კომისიას წერილობით და ზეპირ შეკითხვებს.

კომისიის წევრები ესწრებიან ევროპარლამენტის პლენარულ სესიებს და საპარლამენტო კომიტეტების სხდომებს; ამ ორ ინსტიტუტს შორის მუდმივი დიალოგი მიმდინარეობს.

ევროპარლამენტი აკონტროლებს, აგრეთვე, საბჭოს მუშაობას: პარლამენტის წევრები რეგულარულად უსვამენ საბჭოს წერილობით და ზეპირ შეკითხვებს, ხოლო საბჭოს პრეზიდენტი ესწრება პარლამენტის პლენარულ სესიებს და მონაწილეობს მნიშვნელოვან დებატებში.

პარლამენტი მჭიდროდ თანამშრომლობს საბჭოსთან გარკვეულ სფეროებში, როგორიც არის, მაგალითად, საერთო საგარეო და უშიშროების პოლიტიკა და სასამართლო სისტემათა თანამშრომლობა, აგრეთვე, საერთო ინტერესის ზოგიერთ საკითხზე, როგორიც არის, მაგალითად, თავშესაფრისა და საიმიგრაციო პოლიტიკა და ღონისძიებები ნარკომანიასთან, თაღლითობასა და საერთაშორისო დანაშაულთან ბრძოლის სფეროში. საბჭოს ხელმძღვანელობა რეგულარულად აწვდის ევროპარლამენტს ინფორმაციას ამ საკითხებთან დაკავშირებით.

დემოკრატიული კონტროლის განხორციელება ევროპარლამენტს შეუძლია, აგრეთვე, მოქალაქეთა პეტიციების განხილვისა და დროებითი საგამოძიებო კომიტეტების ჩამოყალიბების გზით.

და ბოლოს, პარლამენტს თავისი წვლილი შეაქვს ევროკავშირის ყველა სამიტშიც (ევროპული საბჭოს სხდომებში). თითოეული სამიტის გახსნისას იწვევენ ევროპარლამენტის პრეზიდენტს, რათა გამოთქვას პარლამენტის შეხედულებები და მოსაზრებები განსახილველი თემებისა და ევროპული საბჭოს დღის წესრიგში შემავალი საკითხების თაობაზე.

3. ევროკავშირის ბიუჯეტთან დაკავშირებული უფლებამოსილება

ევროკავშირის წლიურ ბიუჯეტს ერთობლივად ადგენენ ევროპარლამენტი და ევროკავშირის საბჭო (იხილეთ ქვემოთ). პარლამენტი განიხილავს ბიუჯეტს ერთმანეთის მომდევნო ორ წაკითხვაზე. ბიუჯეტი არ შევა ძალაში, სანამ მას ხელს არ მოაწერს პარლამენტის პრეზიდენტი.

ბიუჯეტის კონტროლის საპარლამენტო კომიტეტი (COCOBU) ამოწმებს, თუ როგორ იხარჯება ბიუჯეტის სახსრები, და პარლამენტი ყოველწლიურად იღებს გადაწყვეტილებას, დაამტკიცოს თუ არა გასულ ფინანსურ წელს კომისიის მიერ ბიუჯეტის მართვა. დამტკიცების ეს პროცესი „ბიუჯეტის შესრულების მოწმობის“ სახელით არის ცნობილი.

როგორ არის ორგანიზებული პარლამენტის მუშაობა?

პარლამენტის მუშაობა ორ ძირითად ეტაპად არის დაყოფილი. ეს არის:

- **პლენარული სესიისთვის მომზადება.** ამას აკეთებენ ევროპარლამენტის წევრები სხვადასხვა საპარლამენტო კომიტეტებში, რომლებიც ევროკავშირის საქმიანობის ამა თუ იმ სფეროში არიან სპეციალიზებული. დებატებზე გასატანი საკითხები პოლიტიკური ჯგუფების მიერაც განიხილება.

- **თავად პლენარული სესია.** პლენარული სესიები, რომლებსაც ევროპარლამენტის ყველა წევრი ესწრება, ჩვეულებრივ, სტრასბურგში იმართება (თვეში ერთი კვირა), ზოგჯერ კი ბრიუსელში (ორი დღე) ტარდება. ამ სესიებზე ევროპარლამენტი იხილავს შეთავაზებულ კანონმდებლობას და მთლიან ტექსტთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღებამდე კენჭს უყრის შესწორებებს.

დღის წესრიგის სხვა საკითხები შეიძლება იყოს საბჭოს ან კომისიის მიერ მოწოდებული ინფორმაციის განხილვა ან კითხვები იმასთან დაკავშირებით, თუ რა ხდება ევროკავშირში ან მსოფლიოში.

ევროკავშირის მოქალაქეთა მიერ პირდაპირი გზით არჩეული წარმომადგენლები იკრიბებიან სტრასბურგში, რათა განიხილონ და კენჭი უყარონ ევროპულ კანონმდებლობას, რომელიც თითოეულ მოქალაქეზე ახდენს ზეგავლენას.

ევროკავშირის საბჭო: წევრი სახელმწიფოების ხმა

უმთავრესი მონაცემები:

როლი:	*ევროკავშირის საკანონმდებლო ორგანო, რომელიც მის წევრ სახელმწიფოებს წარმოადგენს*
წევრები:	*თითო მინისტრი ევროკავშირის ყოველი წევრი სახელმწიფოდან*
პრეზიდენტობა:	*იცვლება ექვს თვეში ერთხელ*
სხდომები:	*ბრიუსელში (ბელგიაში), გარდა აპრილის, ივნისის და ოქტომბრისა, როდესაც სხდომები ლუქსემბურგში ტარდება*
მისამართი:	*Rue de la Loi/Wetstraat, 175, B-1048, Brussels*
ტელეფონი:	*(32–2) 285 61 11*
ინტერნეტი:	*ue.eu.int*

ევროკავშირის საბჭო გადაწყვეტილების მიმღები ძირითადი ორგანოა. ისევე, როგორც ევროპარლამენტი, ევროკავშირის საბჭო ჩამოყალიბდა დამფუძნებელი ხელშეკრულებების საფუძველზე 1950–იან წლებში. საბჭო წარმოადგენს წევრ სახელმწიფოებს. მის სხდომებს ესწრება თითო მინისტრი ევროკავშირის ყოველი წევრი სახელმწიფოს მთავრობიდან.

ის, თუ რომელ სხდომას რომელი მინისტრი დაესწრება, დამოკიდებულია დღის წესრიგის საკითხებზე. თუ, მაგალითად, საბჭომ გარემოსდაცვითი საკითხები უნდა განიხილოს, სხდომას დაესწრებიან გარემოს დაცვის მინისტრები ევროკავშირის ყოველი წევრი სახელმწიფოდან და სხდომას „გარემოსდაცვითი საბჭო“ დაერქმევა.

ევროკავშირის ურთიერთობას მსოფლიოსთან განიხილავს „ზოგად საქმეთა და საგარეო ურთიერთობათა საბჭო“. თუმცა ამ საბჭოს უფრო ფართო, ზოგადი პოლიტიკის სფეროში პასუხისმგებლობაც აკისრია, ამიტომ მის სხდომებს ესწრებიან ის მინისტრები ან სახელმწიფო მდივნები, რომლებსაც წევრი სახელმწიფოები გადაწყვეტენ.

სულ არსებობს ცხრა განსხვავებული სტრუქტურის საბჭო:

- ზოგად საქმეთა და საგარეო ურთიერთობათა საბჭო;
- ეკონომიკურ და ფინანსურ საქმეთა საბჭო (“Ecofin”);
- მართლმსაჯულებისა და შინაგან საქმეთა საბჭო;
- დასაქმების, სოციალური პოლტიკის, ჯანმრთელობის დაცვისა და მომხმარებელთა საქმეების საბჭო;
- კონკურენციასთან დაკავშირებული საკითხების საბჭო (შიდა ბაზარი, მრეწველობა და კვლევა);
- ტრანსპორტის, კავშირგაბმულობისა და ენერგეტიკის საკითხთა საბჭო;
- სოფლის მეურნეობისა და თევზრეწვის საქმეთა საბჭო;
- გარემოსდაცვითი საბჭო;
- განათლების, ახალგაზრდებისა და კულტურის საკითხთა საბჭო.

თუმცა, მიუხედავად ზემოთქმულისა, ევროკავშირის საბჭო ერთი ინსტიტუტია.

თითოეული მინისტრი ევროკავშირის საბჭოში უფლებამოსილია, წარმოადგინოს საკუთარი მთავრობა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მინისტრის ხელმოწერა მთელი მთავრობის ხელმოწერის ტოლფასია. გარდა ამისა, ევროკავშირის საბჭოს თითოეული მინისტრი ანგარიშვალდებულია თავისი ქვეყნის პარლამენტისა და იმ მოქალაქეების წინაშე, რომლებსაც პარლამენტი წარმოადგენს. ეს უზრუნველყოფს ევროკავშირის საბჭოს გადაწყვეტილებათა დემოკრატიულ კანონიერებას.

რას აკეთებს ევროკავშირის საბჭო?

ევროკავშირის საბჭოს ექვსი ძირითადი ფუნქცია აკისრია:

1. ევროპული კანონების მიღება. რიგ სფეროებში საკანონმდებლო უფლებამოსილებას საბჭო ევროპარლამენტთან იზიარებს;
2. წევრი სახელმწიფოების ზოგადი ეკონომიკური პოლიტიკის კოორდინირება;
3. ევროკავშირსა და ერთ ან მეტ სახელმწიფოს

თუ საერთაშორისო ორგანიზაციას შორის საერთაშორისო შეთანხმებების დადება;

4. ევროპარლამენტთან ერთად ევროკავშირის ბიუჯეტის დამტკიცება;
5. ევროკავშირის საერთო საგარეო და უშიშროების პოლიტიკის (CFSP) შემუშავება (დაწვრილებით იხ. ქვემოთ) ევროპული საბჭოს მიერ ჩამოყალიბებული სახელმძღვანელო მითითებების საფუძველზე;
6. წევრი სახელმწიფოების სასამართლოებსა და პოლიციის ძალებს შორის სისხლის სამართლის საკითხებზე თანამშრომლობის კოორდინირება (იხ. ქვემოთ, ქვეთავი „მართლმსაჯულება და შინაგანი საქმეები“).

აღნიშნულ ფუქციათა უმეტესობა „თანამეგობრობის“ კომპეტენციის სფეროს ეხება, მაგალითად, მოქმედების სფეროებს იმ შემთხვევებში, როდესაც წევრ სახელმწიფოებს მიღებული აქვთ გადაწყვეტილება თავ-თავიანთი სუვერენიტეტის გაერთიანებისა და გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილების ევროკავშირის ინსტიტუტებისთვის დელეგირების თაობაზე. კომპეტენციის ეს სფერო ევროკავშირის „პირველი საყრდენი ბურჯია“.

თუმცა უკანასკნელი ორი ფუნქცია უფრო იმ სფეროებს ეხება, რომლებშიც წევრ სახელმწიფოებს საკუთარი უფლებამოსილება დელეგირებული კი არა აქვთ, არამედ უბრალოდ ერთობლივად მუშაობენ. ამას ეწოდება „მთავრობათაშორისი თანამშრომლობა“ და აქ შედის ევროკავშირის „მეორე და მესამე საყრდენი ბურჯები“ (ევროკავშირის საერთო საგარეო და უშიშროების პოლიტიკა და პოლიციისა და სასამართლო სისტემების თანამშრომლობა კრიმინალურ საკითხებში).

ევროკავშირის საბჭოს მუშაობა უფრო დაწვრილებით ქვემოთ არის აღწერილი.

1. კანონმდებლობა

ევროკავშირის კანონმდებლობის უმეტეს ნაწილს ერთობლივად იღებენ საბჭო და პარლამენტი (იხ. ზემოთ: „ხელშეკრულებები და გადაწყვეტილებების მიღება“).

როგორც წესი, საბჭო მოქმედებს მხოლოდ კომისიის მიერ წამოჭრილ წინადადებასთან დაკავშირებით, ხოლო კომისიის ჩვეულებრივი ფუნქციაა უზრუნველყოს, რომ ევროკავშირის უკვე მიღებული კანონმდებლობა სათანადოდ იქნეს შესრულებული.

2. წევრი სახელმწიფოების ეკონომიკური პოლიტიკის კოორდინირება

ევროკავშირის ქვეყნებმა გადაწყვიტეს, რომ მათ უნდათ, ჰქონდეთ საერთო ეკონომიკური პოლიტიკა, რომელიც დაემყარება მჭიდო თანამშრომლობას მათ ეროვნულ ეკონომიკურ პოლიტიკებს შორის. ეს თანამშრომლობა ხორციელდება ეკონომიკისა და ფინანსთა მინისტრების მეშვეობით, რომლებიც ერთობლივად ეკონომიკურ და ფინანსურ საქმეთა საბჭოს (“Ecofin“) ქმნიან.

3. საერთაშორისო შეთანხმებების დადება

ყოველწლიურად საბჭო „დებს“ (ანუ ოფიციალურად ხელს აწერს) რიგ შეთანხმებებს ევროკავშირისა და არაევროკავშირის ქვეყნებს, აგრეთვე,

მინისტრები ევროკავშირის წევრი ყველა სახელმწიფოდან იკრიბებიან საბჭოში, რათა მიიღონ ერთობლივი გადაწყვეტილებები ევროკავშირის პოლიტიკასა და კანონმდებლობასთან დაკავშირებით.

საერთაშორისო ორგანიზაციებს შორის. ეს შეთანხმებები შეიძლება ეხებოდეს ზოგად სფეროებს, მაგალითად, ვაჭრობას, თანამშრომლობას და განვითარებას, ანდა შეიძლება არეგულირებდეს კონკრეტულ საკითხებს, მაგალითად, ტექსტილის წარმოებას, თევზრეწვას, მეცნიერებასა და ტექნოლოგიას, ტრანსპორტს და ა.შ.

გარდა ამისა, საბჭოს შეუძლია ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შორის კონვენციების დადება ისეთ სფეროებში, როგორიც არის საგადასახადო სისტემა, კომპანიებთან დაკავშირებული კანონმდებლობა ან საკონსულო დაცვა. კონვენციებით შესაძლებელია, აგრეთვე, მართლმსაჯულებისა და შინაგან საქმეთა სფეროებში თანამშრომლობის რეგულირება (იხ. ქვემოთ).

4. ევროკავშირის ბიუჯეტის დამტკიცება

ევროკავშირის წლიურ ბიუჯეტს ერთობლივად ადგენენ საბჭო და ევროპარლამენტი. თუ ეს ორი ინსტიტუტი ვერ თანხმდება, წესები ნებას აძლევს საბჭოს, მიიღოს საბოლოო გადაწყვეტილება „სავალდებულო დანახარჯებთან“ დაკავშირებით (ეს, ძირითადად, ეხება სოფლის მეურნეობის სფეროში დანახარჯებს და დანახარჯებს, რომლებიც წარმოიშობა არაევროკავშირის ქვეყნებთან დადებული საერთაშორისო შეთანხმებების საფუძველზე), ხოლო პარლამენტი იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას „არასავალდებულო დანახარჯებთან“ დაკავშირებით და მას აკისრია მთლიანად ბიუჯეტის საბოლოოდ დამტკიცების უფლებამოსილება.

5. საერთო საგარეო და უშიშროების პოლიტიკა

წევრი სახელმწიფოები მუშაობენ საერთო საგარეო და უშიშროების პოლიტიკის შესამუშავებლად. მაგრამ საგარეო პოლიტიკა, უშიშროება და თავდაცვა ეს ის საკითხებია, რომლებთან დაკავშირებითაც ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები დამოუკიდებელ კონტროლს ინარჩუნებენ. ამ სფეროებში მათ არ გაუერთიანებიათ საკუთარი ეროვნული სუვერენიტეტი, ამიტომ ევროპარლამენტი და კომისია ამ საკითხებთან დაკავშირებით მხოლოდ შეზღუდულ როლს თამაშობენ. თუმცა ერთობლივად მუშაობა აღნიშნულ საკითხებზე წევრ სახელმწიფოებს ძალზე გამოადგება. ამ „მთავრობათაშორისი თანამშრომლობის“ ძირითადი ფორუმია ევროკავშირის საბჭო.

იმისათვის, რომ ევროკავშირს ჰქონოდა შესაძლებლობა, უფრო ეფექტიანი რეაგირება მოეხდინა საერთაშორისო კრიზისებზე, ევროპულმა საბჭომ (1999 წლის დეკემბერში ჰელსინკიში გამართულ სამიტზე) მიიღო გადაწყვეტილება ევროკავშირში „სწრაფი რეაგირების შენაერთის“ დაარსების შესახებ. ამ შენაერთში უნდა ყოფილიყო დაახლოებით 60 000 სამხედრო მოსამსახურე, რომელთა

2003 წლის იანვარში ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში მუშაობა დაიწყო ევროკავშირის პოლიციის მისიამ, რომელსაც გაერო-ს სამშვიდობო ძალებმა კრიზისის მართვის სამოქალაქო ასპექტები გადასცეს. ამ სახის მუშაობასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღება და კოორდინირება ევროკავშირის საბჭოს მიერ ხდება.

განლაგება მათთვის განკუთვნილ ადგილებზე 60 დღეში იქნებოდა შესაძლებელი. შენაერთი, სულ მცირე, ერთი წლის განმავლობაში უნდა ყოფილიყო ქმედუნარიანი.

ეს არ იქნება „ევროპის არმია“. შენაერთის მოსამსახურეები საკუთარი ეროვნული შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში დარჩებიან და მათ ეროვნული სარდლობა უხელმძღვანელებს. მათი როლი იქნება მხოლოდ ჰუმანიტარული, გადაუდებელი დახმარების, სამშვიდობო და კრიზისის მართვასთან დაკავშირებული სხვა ამოცანების შესრულება.

კრიზისის დროს პოლიტიკური კონტროლისა და სტრატეგიული მართვის უზრუნველყოფის მიზნით ევროპულმა საბჭომ (ნიცა, 2000 წლის დეკემბერი) გადაწყვიტა, ჩამოეყალიბებინა ახალი მუდმივი პოლიტიკური და სამხედრო სტრუქტურები ევროკავშირის საბჭოს შემადგენლობაში. ეს ახალი სტრუქტურებია:

- პოლიტიკური და უშიშროების კომიტეტი;
- ევროკავშირის სამხედრო კომიტეტი;
- ევროკავშირის სამხედრო პერსონალი, რომელიც შედგება წევრი სახელმწიფოების მიერ საბჭოს სამდივნოში მივლინებული სამხედრო ექსპერტებისაგან.

ევროკავშირის სამხედრო პერსონალი ექვემდებარება და დახმარებას უწევს ევროკავშირის სამხედრო კომიტეტს.

2002 წელს საერთო საგარეო და უშიშროების პოლიტიკის მიზნების მისაღწევი კონკრეტული ტექნიკური და სამეცნიერო ამოცანების შესასრულებლად დაარსდა ორი უწყება:

- უშიშროებასთან დაკავშირებული საკითხების შემსწავლელი ევროპული ინსტიტუტი (www.iss-eu.org), რომელიც პარიზში (საფრანგეთი) მდებარეობს;
- ევროკავშირის სატელიტური ცენტრი (www.eusc.org), რომელიც ტორეჯონ დე არდოზშია (ესპანეთი) განლაგებული.

6. მართლმსაჯულება და შინაგანი საქმეები

ნარკოტიკები, ტერორიზმი, საერთაშორისო თაღლითობა, ადამიანებით ვაჭრობა (ტრეფიკინგი) და ბავშვების სექსუალური ექსპლუატაცია ის პრობლემებია, რომლებიც უაღრესად აშფოთებს ევროპელ მოქალაქეებს. არც ერთმა ამ კრიმინალურ საქმიანობათაგან არ იცის ქვეყნების საზღვრები, ამიტომ მათთან საბრძოლველადაც მხოლოდ საზღვრებს მიღმა თანამშრომლობა იქნება ეფექტიანი. თუ ევროპა აპირებს ამის გაკეთებას და ყველა მისი მოქალაქისათვის მთელს ევროკავშირში სამოქალაქო მართლმსაჯულების თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას, მაშინ ეროვნულმა სასამართლოებმა, პოლიციის ძალებმა, საბაჟო და საიმიგრაციო სამსახურებმა მთელს ევროკავშირში ერთობლივად უნდა იმუშაონ.

მაგალითად, ამ სამსახურებმა უნდა უზრუნველყონ, რომ:

- ევროკავშირის რომელიმე ქვეყანაში გამოტანილი სასამართლო განჩინება განქორწინების ან ბავშვის მეურვეობის თაობაზე ევროკავშირის ყველა დანარჩენ ქვეყანაში იქნეს აღიარებული;
- ევროკავშირის გარე საზღვრებზე ეფექტიანი საპოლიციო კონტროლი ხორციელდებოდეს;
- საბაჟო სამსახურებისა და პოლიციის თანამშრომლებმა გაუზიარონ ერთმანეთს ინფორმაცია ნარკოტიკებით ან ადამიანებით ვაჭრობაში ეჭვმიტანილ პირთა გადაადგილების შესახებ;
- თავშესაფრის მაძიებელთა შეფასება და მათ მიმართ დამოკიდებულება მთელს ევროკავშირში ერთნაირი იყოს, რათა თავიდან იქნეს აცილებული „თავშესაფრით ვაჭრობა“.

ზემოთ მოხსენიებულთა მსგავს საკითხებს, რომელთაც კოლექტიურად „მართლმსაჯულება და შინაგანი საქმეები“ ეწოდება, არეგულირებენ მართლმსაჯულებისა და შინაგან საქმეთა მინისტრები. ეს მინისტრები შედიან მართლმსაჯულებისა და შინაგან საქმეთა საბჭოში.

როგორ არის ორგანიზებული ევროკავშირის საბჭოს მუშაობა?

კორეპერი

ევროკავშირის ყოველ წევრ სახელმწიფოს ბრიუსელში აქვს საკუთარი მუდმივი გუნდი („წარმომადგენლობა“), რომელიც წარმოადგენს მას და იცავს მის ეროვნულ ინტერესებს ევროკავშირის დონეზე. სინამდვილეში ყოველი წარმომადგენლობის ხელმძღვანელი ევროკავშრში თავისი ქვეყნის ელჩია.

ეს ელჩები (რომელთაც „მუდმივი წარმომად-გენლები“ ეწოდებათ) ყოველკვირეულად იკრიბებიან მუდმივ წარმომადგენელთა კომიტეტში (ე.წ. „კორეპერში“). ამ კომიტეტის ფუნქციაა, მოამზადოს საბჭოს სამუშაო, გარდა სასოფლო-სამეურნეო საკითხებისა, რომლებსაც სოფლის მეურნეობის სპეციალური კომიტეტი უძღვება. კორეპერს დახმარებას უწევს რიგი სამუშაო ჯგუფებისა, რომლებიც შედგება წევრი ქვეყნების ადმინის-ტრაციათა წარმომადგენელი თანამდებობის პირებისგან.

საბჭოს პრეზიდენტობა

საბჭოს პრეზიდენტი ქვეყანა ექვს თვეში ერთხელ იცვლება. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ევროკავშირის ყოველი ქვეყანა მორიგეობით ახორციელებს საბჭოს პროგრამის კონტროლს და თავმჯდომარეობს ყველა შეხვედრას ექვსთვიანი პერიოდის განმავ-ლობაში, ხელს უწყობს საკანონმდებლო და პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებას და შუამავლობს წევრ სახელმწიფოებს შორის კომპრომისების მიღწევას.

ქვემოთ მოცემულია პრეზიდენტობის თანმიმ-დევრობა 2003-2006 წლებში:

2003	წლის პირველი ნახევარი:	საბერძნეთი
	წლის მეორე ნახევარი:	იტალია
2004	წლის პირველი ნახევარი:	ირლანდია
	წლის მეორე ნახევარი:	ნიდერლანდები
2005	წლის პირველი ნახევარი:	ლუქსემბურგი
	წლის მეორე ნახევარი:	გაერთიანებული სამეფო
2006	წლის პირველი ნახევარი:	ავსტრია
	წლის მეორე ნახევარი:	ფინეთი

მაგალითად, თუ გარემოსდაცვითი საბჭოს სხდომა 2006 წლის მეორე ნახევარშია დაგეგმილი, სხდომის თავმჯდომარე ფინეთის გარემოს დაცვის მინისტრი იქნება, ვინაიდან იმ დროს საბჭოს პრეზიდენტობა ფინეთს ეკისრება.

გენერალური სამდივნო

საბჭოს პრეზიდენტ ქვეყანას დახმარებას უწევს გენერალური სამდივნო, რომელიც ამზადებს და უზრუნველყოფს საბჭოს შეუფერხებელ მუშაობას ყველა დონეზე.

1999 წელს საბჭოს გენერალურ მდივნად დაინიშნა ხავიერ სოლანა. ამას გარდა, სოლანა საერთო საგარეო და უშიშროების პოლიტიკის სფეროში უმაღლესი წარმომადგენელია და, თავისი თანამდებობიდან გამომდინარე, ეხმარება საბჭოს პოლიტიკურ გადაწყვეტილებათა შემუშავებასა და განხორციელებაში. ხავიერ სოლანა საბჭოს სახელით მონაწილეობს, აგრეთვე, პოლიტიკურ დიალოგში იმ ქვეყნებთან, რომლებიც არ არიან ევროკავშირის წევრები.

გენერალურ მდივანს დახმარებას უწევს მისი მოადგილე, რომელსაც გენერალური სამდივნოს მართვა ავალია.

ხავიერ სოლანა, ევროკავშირის უმაღლესი პირი საგარეო პოლიტიკის სფეროში, წარმოადგენს ევროპას მსოფლიო არენაზე.

რამდენი ხმა ეკუთვნის თითოეულ სახელმწიფოს?

გადაწყვეტილებები ევროკავშირის საბჭოში კენჭისყრით მიიღება. რაც უფრო დიდია ქვეყნის მოსახლეობა, მით მეტი ხმა აქვს ამ ქვეყანას. მაგრამ რაოდენობა არ არის მკაცრად პროპორციული: ხდება მისი შესწორება ნაკლებად დასახლებული ქვეყნების სასარგებლოდ.

ქვემოთ მოცემულია ხმების რაოდენობა თითოეული სახელმწიფოსთვის 2004 წლის 1 მაისამდე:

გერმანია, საფრანგეთი, იტალია და გაერთიანებული სამეფო	10
ესპანეთი	8
ბელგია, საბერძნეთი, ნიდერლანდები და პორტუგალია	5
ავსტრია და შვეცია	4
დანია, ირლანდია და ფინეთი	3
ლუქსემბურგი	2
სულ	**87**

2004 წლის 1 მაისიდან (როდესაც ევროკავშირს ახალი წევრი სახელმწიფოები შეუერთდებიან) იმავე წლის 31 ოქტომბრამდე იმოქმედებს გარდამავალი წესები ხმათა რაოდენობების დასადგენად.

ქვემოთ ჩამოთვლილია ხმების რაოდენობა თითოეული სახელმწიფოსთვის (მათ შორის, ახალი წევრი სახელმწიფოებისთვის) 2004 წლის 1 ნოემბრიდან:

გერმანია, საფრანგეთი, იტალია და გაერთიანებული სამეფო	29
ესპანეთი და პოლონეთი	27
ნიდერლანდები	13
ბელგია, ჩეხეთის რესპუბლიკა, საბერძნეთი, უნგრეთი და პორტუგალია	12
ავსტრია და შვეცია	10
დანია, ირლანდია, ლიტვა, სლოვაკეთი და ფინეთი	7
კვიპროსი, ესტონეთი, ლატვია, ლუქსემბურგი და სლოვენია	4
მალტა	3
სულ	**321**

კენჭისყრა „კვალიფიცირებული უმრავლესობით“

ევროკავშირის საბჭოში კენჭისყრის ყველაზე მიღებული პროცედურაა „კვალიფიცირებული უმრავლესობით“ კენჭისყრა. იმისათვის, რომ წინადადება მიღებული იქნეს, აუცილებელია, მას მხარი დაუჭიროს ხმათა განსაზღვრულმა მინიმალურმა რაოდენობამ (დაწვრილებით ამის შესახებ ქვემოთ არის მოთხრობილი).

მაგრამ ზოგიერთ განსაკუთრებით დელიკატურ სფეროებში, როგორიც არის, მაგალითად, საერთო საგარეო და უშიშროების პოლიტიკა, გადასახადები, პოლიტიკურ თავშესაფართან და იმიგრაციასთან დაკავშირებული პოლიტიკა, საბჭოს გადაწყვეტილებები ერთსულოვანი უნდა იყოს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ყოველ წევრ სახელმწიფოს ამ სფეროებში ვეტოს უფლება აქვს.

ერთსულოვანი შეთანხმების მიღწევა უკვე 15 ქვეყანას შორის არის ძნელი, 27 ან მეტი წევრისგან შემდგარ, გაფართოებულ ევროკავშირში კი ფაქტობრივად შეუძლებელი იქნება. თუ ევროკავშირი დღეს არსებული წესების საფუძველზე გააგრძელებს მოქმედებას, მას პარალიზება ელის – ევროკავშირი ვერ შეძლებს მოქმედებას ბევრ უმნიშვნელოვანეს სფეროში. ამიტომ ნიცის ხელშეკრულებამ შეცვალა წესები და მისცა საბჭოს უფლება, რიგ სფეროებში, რომლებიც უწინ ერთსულოვნებას საჭიროებდა, გადაწყვეტილება კვალიფიცირებული უმრავლესობით მიიღოს.

2004 წლის 1 მაისამდე კვალიფიცირებული უმრავლესობის მისაღწევად აუცილებელი ხმათა მინიმალური რაოდენობაა 62 ხმა 87-დან (ანუ 71,3%). 2004 წლის 1 მაისიდან ექვსი თვის განმავლობაში, როდესაც ევროკავშირს ახალი წევრები მიუერთდებიან, დროებითი წესები იმოქმედებს.

2004 წლის 1 ნოემბრიდან კვალიფიცირებული უმრავლესობა მიიღწევა:

- თუ საკითხს დამტკიცებს წევრ სახელმწიფოთა უმრავლესობა (ზოგიერთ შემთხვევაში ორი მესამედით უმრავლესობა); და
- თუ საკითხის სასარგებლოდ არსებობს, სულ მცირე, 232 ხმა. ეს არის მთელი ხმების 72,3% (ეს დაახლოებით ისეთივე პროპორციაა, როგორც წინა სისტემის დროს).

გარდა ამისა, წევრ სახელმწიფოს შეუძლია ითხოვოს დასტური იმისა, რომ საკითხის სასარგებლოდ არსებული ხმები წარმოადგენს ევროკავშირის მოსახლეობის, სულ მცირე, 62%-ს. თუ აღმოჩნდა, რომ ეს ასე არ არის, გადაწყვეტილება არ იქნება მიღებული.

ევროკომისია: საერთო ინტერესის ხორცშესხმის ხელშეწყობა

უმთავრესი მონაცემები:

როლი:	*ევროკავშირის აღმასრულებელი ორგანო და საკანონმდებლო წინადადებათა ინიციატორი*
წევრები:	*20: ორ-ორი საფრანგეთიდან, გერმანიიდან, იტალიიდან, ესპანეთიდან და გაერთიანებული სამეფოდან, თითო ყველა დანარჩენი წევრი სახელმწიფოდან*
მოქმედების ვადა:	*ხუთი წელი (1999-2004, 2004-2009)*
მისამართი:	*Rue de la Loi/Wetstraat, 200, B-1049, Brussels*
ტელეფონი:	*(32-2) 299 11 11*
ინტერნეტი:	*europa.eu.int/comm*

ევროკომისია პოლიტიკურად დამოუკიდებელი ინსტიტუტია, რომელიც წარმოადგენს და იცავს მთლიანად ევროკავშირის ინტერესებს. ეს არის ევროკავშირის ინსტიტუციური სისტემის მამოძრავებელი ძალა: კომისიის მოვალეობაა საკანონმდებლო წინადადებების წამოჭრა, პოლიტიკისა და სამოქმედო პროგრამების შეთავაზება, იგი პასუხისმგებელია ევროპარლამენტისა და საბჭოს გადაწყვეტილებათა ხორცშესხმაზე.

ევროპარლამენტისა და საბჭოს მსგავსად ევროკომისიაც 1950-იან წლებში, ევროკავშირის დამფუძნებელ ხელშეკრულებათა საფუძველზე დაარსდა.

რას წარმოადგენს კომისია?

ტერმინი „კომისია“ ორი გაგებით იხმარება. პირველ რიგში ის ეხება „კომისიის წევრებს“ - ანუ 20 მამაკაცისა და ქალისაგან შემდგარ გუნდს. ამ ადამიანებს წევრი სახელმწიფოები და პარლამენტი ნიშნავენ ინსტიტუტის საქმიანობის გასაძღოლად და გადაწყვეტილებათა მისაღებად. გარდა ამისა, ტერმინი „კომისია“ გულისხმობს თავად ინსტიტუტს და მის პერსონალს.

არაოფიციალურად ევროკომისიის წევრებს „კომისრებს“ უწოდებენ. თავიანთ ქვეყნებში თითოეულ მათგანს პოლიტიკური თანამდებობა ეკავა, ბევრი მთავრობის მინისტრიც იყო, მაგრამ როდესაც ეს ადამიანები ევროკომისიის წევრები ხდებიან, ისინი კისრულობენ ვალდებულებას, იმოქმედონ მთელი ევროკავშირის ინტერესების გათვალისწინებით და არ იღებენ მითითებებს თავ-თავიანთი ქვეყნების მთავრობებისაგან.

ხუთ წელიწადში ერთხელ, ევროპარლამენტის არჩევიდან ექვსი თვის განმავლობაში, ინიშნება კომისიის ახალი შემადგენლობა. ქვემოთ განხილულია დანიშვნის პროცედურა:

- წევრი სახელმწიფოების მთავრობები თანხმდებიან, თუ ვინ წარადგინონ ევროკომისიის ახალ პრეზიდენტად;
- ევროკომისიის პრეზიდენტად წარდგენილი პირი, წევრი სახელმწიფოების მთავრობებთან მოთათბირების მეშვეობით, ირჩევს კომისიის დანარჩენ 19 წევრს;
- ამის შემდეგ ახალი პარლამენტი გაესაუბრება ოცივე წევრს და წარმოადგენს თავის დასკვნას მთელ „კოლეგიასთან“ დაკავშირებით. დამტკიცების შემთხვევაში ახალ კომისიას შეუძლია შეუდგეს მუშაობას შემდეგი წლის იანვრიდან.

ამჟამინდელი კომისიის მოქმედების ვადა 2004 წლის 31 ოქტომბერს იწურება. კომისიის პრეზიდენტია რომანო პროდი.

ევროკომისია პოლიტიკური თვალსაზრისით ევროპარლამენტის წინაშეა ანგარიშვალდებული. პარლამენტს აქვს უფლება, უნდობლობის გამოცხადების საფუძველზე დაშალოს კომისია. კომისია ესწრება პარლამენტის ყველა სესიას, სადაც მან უნდა დააზუსტოს და დაასაბუთოს თავისი პოლიტიკა. გარდა ამისა, კომისია რეგულარულად პასუხობს ევროპარლამენტის წევრთა მიერ დასმულ წერილობით და ზეპირ შეკითხვებს.
კომისიის ყოველდღიურ მუშაობას აწარმოებენ მისი ადმინისტრაციული თანამშრომლები, ექსპერტები, მთარგმნელები, თარჯიმნები და

ევროკომისიის პრეზიდენტი რომანო პროდი შესანიშნავი მოსაუბრეა – იგი უხსნის ევროკავშირის მოქალაქეებს, თუ რას აკეთებს მის დაქვემდებარებაში მყოფი ინსტიტუტი, და ისმენს ამ მოქალაქეთა მოსაზრებებს. ამგვარ ორმხრივ ურთიერთობას არსებითი მნიშვნელობა ენიჭება ევროპისა და ევროპელების ერთმანეთთან დასაახლოებლად.

სამდივნოს პერსონალი. არსებობს დაახლოებით 24 000 ამგვარი სამოქალაქო მოხელე. შეიძლება ეს რაოდენობა ძალზე დიდი მოგეჩვენოთ, მაგრამ სინამდვილეში ის ნაკლებია ევროპის საშუალო ზომის ქალაქის საბჭოში მომუშავე პერსონალის რაოდენობაზე.

ეს ადამიანები, რომლებიც არამც და არამც არ არიან უსახური ბიუროკრატები, ევროკავშირის თითოეული ქვეყნის ჩვეულებრივი მოქალაქეები არიან. მათი არჩევა კონკურენტული შერჩევის საფუძველზე ხდება და ისინი მუშაობენ ერთად, რათა ააშენონ ძლიერი და წარმატებული ევროკავშირი. კომისიის თანამშრომლების – ისევე, როგორც ევროკავშირის სხვა უწყებათა პერსონალის – სამსახურში აყვანა ხდება პერსონალის შერჩევის ევროპული ოფისის (europa.eu.int/epso) მიერ.

სად მდებარეობს ევროკომისია?

ევროკომისიის ადგილსამყოფელია ბრიუსელი (ბელგია), თუმცა მას აქვს ოფისები ლუქსემბურგშიც, აქვს, აგრეთვე, წარმომადგენლობები ევროკავშირის ყველა ქვეყანაში და დელეგაციები მსოფლიოს მრავალი ქვეყნის დედაქალაქში.

რას აკეთებს ევროკომისია?

ევროკომისიას ოთხი ძირითადი ფუნქცია აკისრია:

- პარლამენტისა და საბჭოსთვის კანონმდებლობის შეთავაზება;
- ევროკომისიის პოლიტიკისა და ბიუჯეტის მართვა და განხორციელება;
- ევროპული კანონმდებლობის აღსრულება (მართლმსაჯულების სასამართლოსთან ერთად);
- ევროკავშირის წარმოდგენა საერთაშორისო არენაზე, მაგალითად, ევროკავშირსა და სხვა ქვეყნებს შორის ხელშეკრულებების თაობაზე მოლაპარაკების წარმოება.

1. ახალ კანონმდებლობასთან დაკავშირებული წინადადებების წამოჭრა

ხელშეკრულების მიხედვით ევროკომისიას აქვს „ინიციატივის უფლება". სხვაგვარად რომ ვთქვათ, მხოლოდ კომისიაა პასუხისმგებელი ახალ ევროპულ კანონმდებლობასთან დაკავშირებული წინადა-დებების მომზადებაზე. ამ წინადადებებს კომისია წარუდგენს **ევროპარლამენტსა** და **საბჭოს.** წინადადებები მიზნად უნდა ისახავდეს ევრო-კავშირისა და მისი მოქალაქეების, და არა კონკრეტული ქვეყნებისა თუ ინდუსტრიების, ინტერესთა დაცვას.

სანამ რაიმე წინადადებას წამოჭრიდეს, ევროკომისია კარგად უნდა გაერკვეს ევროპაში მიმდინარე ახალ სიტუაციებსა და პრობლემებში და უნდა განსაზღვროს, არის თუ არა ევროკავშირის კანონმდებლობა მათი რეგულირების საუკეთესო საშუალება. სწორედ ამიტომ არის, რომ ევროკომისია მუდმივად მჭიდროდ ურთიერთობს ფართო სპექტრის ინტერესთა ჯგუფებთან და ორ საკონსულტაციო უწყებასთან – **ეკონომიკურ და სოციალურ საკითხთა ევროპულ კომიტეტთან** (რომელიც დამსაქმებელთა და პროფესიულ კავშირთა წარმომადგენლებისგან შედგება) და **რეგიონულ კომიტეტთან** (რომელიც შედგება ხელისუფლების ადგილობრივი და რეგიონული ორგანოების წარმომადგენლებისგან). გარდა ამისა, ევროკომისია არკვევს ეროვნული პარლამენტებისა და მთავრობების მოსაზრებებს.

ევროკავშირის დონეზე რეაგირების თაობაზე წინადადებას კომისია მხოლოდ იმ შემთხვევაში წამოჭრის, თუ მიიჩნევს, რომ პრობლემა უფრო ეფექტიანად ვერ მოგვარდება ეროვნულ, რეგიონულ ან ადგილობრივ დონეებზე რეაგირების გზით. საკითხების ყველაზე დაბალ შესაძლებელ დონეზე რეგულირების ეს პრინციპი „სუბსიდიარობის პრინციპის“ სახელით არის ცნობილი.

მაგრამ თუ კომისია დაასკვნის, რომ საჭირო ევროკავშირის კანონმდებლობის მიღება, იგი შეიმუშავებს ისეთი წინადადების პროექტს, რომელიც, მისი აზრით, ყველაზე ეფექტიანად მოაგვარებს პრობლემას და მაქსიმალურად ფართო სპექტრის ინტერესებს დაკმაყოფილებს. იმისათვის, რომ უკეთესად გაერკვეს ტექნიკურ დეტალებში, კომისია კონსულტაციას გადის მის სხვადასხვა კომიტეტებსა და სამუშაო ჯგუფებში შემავალ ექსპერტებთან.

2. ევროკავშირის პოლიტიკისა და ბიუჯეტის განხორციელება

ევროკომისიას, როგორც ევროკავშირის აღმასრულებელ ორგანოს, აკისრია კავშირის ბიუჯეტის, აგრეთვე, პარლამენტისა და საბჭოს მიერ მიღებული პოლიტიკისა და პროგრამების განხორციელების პასუხისმგებლობა. რეალური სამუშაოსა და სახსრების ხარჯვის უმეტეს ნაწილს ეროვნული და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები ახორციელებენ, მაგრამ კომისია პასუხისმგებელია ამ საქმიანობის მეთვალყურეობაზე.

ევროკომისიის მიერ აქტიურად რეგულირებული **პოლიტიკის** ერთ-ერთი მაგალითია კონკურენციის პოლიტიკა: კომისია აკონტროლებს კარტელებს და კომპანიათა შერწყმას და უზრუნველყოფს, რომ ევროკავშირის ქვეყნები არ აწარმოებდნენ თავ-თავიანთი ინდუსტრიების იმგვარ სუბსიდირებას, რაც ხელს შეუშლიდა კონკურენციას.

ევროკომისიის მიერ რეგულირებული ევროკავშირის **პროგრამების** მაგალითებად შეგვიძლია დავასახელოთ “Interreg“ და “URBAN“ პროგრამები (ამ პროგრამების საფუძველზე ყალიბდება საერთაშორისო პარტნიორობები რეგიონებს შორის და ისინი ხელს უწყობს დაკნინებული ურბანული ტერიტორიების აღდგენას), აგრეთვე, პროგრამა “Erasmus“, რომელიც ევროპის მასშტაბით სტუდენტთა გაცვლა-გამოცვლას გულისხმობს.

ბიუჯეტს ევროკომისია **აუდიტორთა სასამართლოს** გამუდმებული მეთვალყურეობით მართავს. ორივე ინსტიტუტის მიზანია კარგი ფინანსური მართვის უზრუნველყოფა. ბიუჯეტის განხორციელების უფლებას **ევროპარლამენტი** კომისიას მხოლოდ მას შემდეგ მიანიჭებს, თუ მისთვის მისაღები აღმოჩნდება აუდიტორთა სასამართლოს წლიური ანგარიში.

3. ევროპული კანონმდებლობის აღსრულება

ევროკომისია მეთვალყურეობას უწევს ხელშეკრულებათა შესრულებას. ეს ნიშნავს, რომ, მართლმსაჯულების სასამართლოსთან ერთად, კომისია პასუხისმგებელია, უზრუნველყოს ყველა წევრ ქვეყანაში ევროკავშირის კანონმდებლობის სათანადოდ შესრულება.

თუ კომისია აღმოაჩენს, რომ ევროკავშირის რომელიმე წევრ სახელმწიფოში არ სრულდება ევროკავშირის კანონმდებლობა და, შესაბამისად, ეს სახელმწიფო არ აკმაყოფილებს თავის იურიდიულ ვალდებულებებს, კომისია იღებს მდგომარეობის გამოსასწორებელ ზომებს.

პირველ რიგში კომისია იწყებს იურიდიულ პროცესს, რომელსაც „დარღვევის პროცედურა“ ეწოდება. ამ პროცესის ერთ-ერთი ნაწილია მთავრობისთვის ოფიციალური წერილის გაგზავნა. წერილში აღნიშნულია, თუ რატომ მიაჩნია კომისიას, რომ ეს ქვეყანა არღვევს ევროკავშირის კანონმდებლობას, და დასახულია ვადა კომისიისთვის დაწვრილებითი პასუხის წარსადგენად.

თუ აღნიშნული პროცედურის მეშვეობით ვერ მოხერხდა მდგომარეობის გამოსწორება, კომისიამ

საკითხი განსახილველად უნდა გადასცეს **მართლმსაჯულების სასამართლოს,** რომელსაც აქვს საჯარიმო სანქციების დაკისრების უფლება-მოსილება. სასამართლოს გადაწყვეტილებები სავალდებულოა წევრი სახელმწიფოებისა და ევროკავშირის ინსტიტუტებისათვის.

4. ევროკავშირის წარმოდგენა საერთაშორისო არენაზე

კომისია საერთაშორისო არენაზე ევროკავშირის მნიშვნელოვანი რუპორია. მისი საშუალებით კავშირის 15 წევრ სახელმწიფოს ეძლევა შესაძლებლობა, „ერთხმად ისაუბრონ“ ისეთ საერთაშორისო ფორუმებზე, როგორიც არის მსოფ-ლიო ვაჭრობის ორგანიზაცია.

გარდა ამისა, კომისიას აკისრია საერთაშორისო შეთანხმებებთან დაკავშირებული მოლაპარაკებების ევროკავშირის სახელით წარმოების პასუხის-მგებლობა. ამის ერთ-ერთი მაგალითია კოტონუს შეთანხმება, რომელშიც განსაზღვრულია ევრო-კავშირსა და აფრიკის, კარიბის ზღვისა და წყნარი ოკეანის აუზის განვითარებად ქვეყნებს შორის მნიშვნელოვანი ჰუმანიტარული და სავაჭრო პარტნიორობის პირობები.

როგორ არის ორგანიზებული ევროკომისიის მუშაობა?

კომისიის პრეზიდენტი ადგენს, რომელ კომისარს პოლიტიკის რომელ სფეროზე დაეკისრება პასუხისმგებლობა, გარდა ამისა, კომისიის მოქმედების ვადის განმავლობაში (საჭიროების შემთხვევაში) ადგილს უნაცვლებს ამ პასუხის-მგებლობებს. პრეზიდენტს აქვს უფლება, კომისიის თანხმობით მოითხოვოს ამა თუ იმ კომისრის გათავისუფლება.

ოცი კომისრისგან შემდგარი გუნდი (ხშირად მას „კოლეგიასაც“ უწოდებენ) კვირაში ერთხელ, ჩვეულებრივ, ოთხშაბათობით, ბრიუსელში იკრიბება. დღის წესრიგის თითოეულ საკითხს წარადგენს ის კომისარი, რომელსაც პოლიტიკის ამ სფეროზე აკისრია პასუხისმგებლობა, შემდეგ კი კოლეგია იღებს კოლექტიურ გადაწყვეტილებას ამ საკითხთან დაკავშირებით.

ევროკავშირი განვითარებისკენ მიმართული დახმარების (მათ შორის, განათლებისა და სკოლების მშენებლობაში დახმარების) მსოფლიოში ყველაზე მნიშვნელოვანი დონორია.

ევროკომისიის საორგანიზაციო სტრუქტურა შედგება 36 დეპარტამენტისგან, რომელთაც „გენერალური დირექტორატები“ ეწოდება, და „სამსახურებისგან“ (როგორიც არის, მაგალითად, იურიდიული სამსა-ხური და მთარგმნელობითი სამსახური).

თითოეულ გენერალურ დირექტორატს აკისრია პასუხისმგებლობა პოლიტიკის კონკრეტულ სფეროზე და მას სათავეში უდგას გენერალური დირექტორი, რომელიც ანგარიშვალდებულია ერთ-ერთი კომისრის წინაშე.

კომისიის საკანონმდებლო წინადადებათა რეალური შემუშავება და მომზადება სწორედ გენერალური დირექტორატების ფუნქციაა, თუმცა ეს წინადადებები ოფიციალურ სახეს მხოლოდ მას შემდეგ იძენს, რაც „მიღებული“ იქნება კოლეგიის მიერ ყოველკვირეულ სხდომაზე. ქვემოთ დაახლოებით არის აღწერილი პროცედურა.

მაგალითად, წარმოვიდგინოთ, რომ კომისიას საჭიროდ მიაჩნია ისეთი კანონმდებლობის მიღება, რომელიც თავიდან აგვაცილებს ევროპის მდინარეების დაბინძურებას. ევროპული მრეწვე-ლობის წარმომადგენლებთან და ფერმერებთან, წევრი ქვეყნების გარემოს დაცვის სამინისტროებსა და გარემოსდაცვით ორგანიზაციებთან მრავალ-



მხრივი კონსულტაციების შედეგად გარემოს დაცვის გენერალური დირექტორატი შეიმუშავებს საკანონმდებლო წინადადებას.

ამის შემდეგ შეთავაზებული კანონმდებლობა განხილული იქნება კომისიის ყველა შესაბამისი დეპარტამენტის მიერ და საჭიროების შემთხვევაში შესწორდება, შემდეგ კი მას შეამოწმებენ იურიდიული სამსახური და კომისართა „კაბინეტები“ (პირადი პოლიტიკური შტატი).

როდესაც წინადადება საბოლოოდ მომზადდება, გენერალური მდივანი შეიტანს მას კომისიის მომავალი სხდომის დღის წესრიგში. სხდომაზე გარემოსდაცვით საკითხთა კომისარი განუმარტავს თავის კოლეგებს, თუ რატომ ხდება ამ კანონის შეთავაზება, შემდეგ კი ისინი ერთობლივად განიხილავენ წინადადებას. თუ კომისიის წევრები შეთანხმდებიან, კოლეგია „მიიღებს“ წინადადებას და დოკუმენტი განსახილველად გაეგზავნება საბჭოს და ევროპარლამენტს.

თუ კომისიის წევრები ვერ მიაღწევენ შეთანხმებას, პრეზიდენტი სთხოვს მათ, კენჭი უყარონ წინადადებას. თუ 20 წევრიდან 11 ან მეტი წინადადების სასარგებლოდ მისცემს ხმას, ის მიღებული იქნება, რის შემდეგაც კომისიის ყველა წევრი უპირობოდ მხარს დაუჭერს მას.

კომისიის სამომავლო მასშტაბი

კომისიაში მუდამ შედიოდა ორი წარმომადგენელი ყველაზე მჭიდროდ დასახლებული წევრი სახელმწიფოებიდან და თითო კომისარი ევროკავშირის დანარჩენი ქვეყნებიდან. მაგრამ ევროკავშირის გაფართოების შემდეგ ამ სისტემის შენარჩუნების შემთხვევაში კომისია ძალზე გაიზრდება და გაუჭირდება მუშაობა. 2004 წლის 1 მაისს, როდესაც ევროკავშირს 10 ახალი წევრი შეუერთდება, კომისიას უკვე 10 წევრი დაემატება (რის შედეგადაც წევრთა საერთო რაოდენობა 30-მდე გაიზრდება).

ამიტომ იმ დღიდან, როდესაც მუშაობას დაიწყებს 2004-2009 წლების კომისია (2004 წლის 1 ნოემბერი), მის შემადგენლობაში თითოეული ქვეყნიდან თითო წევრი შევა. როდესაც ევროკავშირში 27 წევრი სახელმწიფო იქნება, საბჭო - ერთსულოვანი გადაწყვეტილებით - დააფიქსირებს კომისართა მაქსიმალურ რაოდენობას. ეს რიცხვი 27-ზე ნაკლები უნდა იყოს, ხოლო წევრთა ეროვნული წარმომავლობა დაექვემდებარება როტაციის სისტემას, რომელიც ყველა ქვეყნისთვის აბსოლუტურად სამართლიანი იქნება.

ევროკომისიის წევრები ევროკავშირის ყველა ქვეყნის წარმომადგენლები არიან, მაგრამ ისინი თავთავიანთი ქვეყნების მთავრობებისგან დამოუკიდებლად მოქმედებენ. კომისიის წევრები კვირაში ერთხელ იკრიბებიან ევროკავშირის პოლიტიკაზე სასაუბროდ და ახალი ევროპული კანონმდებლობის თაობაზე წინადადებათა წამოსაჭრელად.

მართლმსაჯულების სასამართლო: კანონის შესრულების უზრუნველყოფა

უმთავრესი მონაცემები:

როლი:	*მისთვის წარდგენილ საქმეებთან დაკავშირებით სამართლებრივი გადაწყვეტილების უზრუნველყოფა*
მართლმსაჯულების სასამართლო:	*თითო მოსამართლე ევროკავშირის ყოველი წევრი სახელმწიფოდან; რვა გენერალური ადვოკატი*
პირველი ინსტანციის სასამართლო:	*თითო მოსამართლე ევროკავშირის ყოველი წევრი სახელმწიფოდან*
მოქმედების ვადა:	*ორივე სასამართლოს წევრები ინიშნებიან ექვსწლიანი ვადით, რომლის განახლებაც შესაძლებელია*
მისამართი:	*Plateau du Kirchberg, L-2925 Luxembourg*
ტელეფონი:	*(352) 4303-1*
ინტერნეტი:	*curia.eu.int*

ევროპულ თანამეგობრობათა მართლმსაჯულების სასამართლო (ხშირად მას უბრალოდ „სასამართლოს“ უწოდებენ) დაარსდა 1952 წელს, ევროპის ქვანახშირის მომპოვებელი და ფოლადის მწარმოებელი ქვეყნების თანამეგობრობის შესახებ ხელშეკრულების საფუძველზე. სასამართლოს დანიშნულებაა, უზრუნველყოს ევროკავშირის კანონმდებლობის (მას „თანამეგობრობის კანონმდებლობასაც“ უწოდებენ) ერთნაირად ინტერპრეტირება და შესრულება ყველა წევრ სახელმწიფოში. სხვაგვარად რომ ვთქვათ, სასამართლომ უნდა უზრუნველყოს, რომ ყველა მხარისათვის და ყველანაირ გარემოებაში ეს კანონმდებლობა იდენტური იყოს. სასამართლოს მინიჭებული აქვს უფლებამოსილება, გადაჭრას წევრ სახელმწიფოებს, ევროკავშირის ინსტიტუტებს, სხვადასხვა ბიზნესსა და მოქალაქეებს შორის წამოჭრილი სამართლებრივი დავები.

სასამართლოს შემადგენლობაში შედის თითო მოსამართლე ყოველი წევრი სახელმწიფოდან, ასე რომ წარმოდგენილია ევროკავშირის ყველა ეროვნული სამართლებრივი სისტემა. გაფართოების შემდეგაც კი სასამართლოში დარჩება ყოველი წევრი ქვეყნიდან თითო მოსამართლე, მაგრამ ეფექტიანი მუშაობის მიზნით სასამართლოს შეეძლება სხდომების ჩატარება 13 მოსამართლისგან შემდგარი „დიდი პალატის“ სახით, ნაცვლად პლენარული სესიისა, რომელსაც ყველა მოსამართლე დაესწრებოდა.

სასამართლოს მუშაობაში დახმარებას უწევს რვა ე.წ. „გენერალური ადვოკატი“. მათი ფუნქციაა სასამართლოსთვის წარდგენილ საქმეებთან დაკავშირებით დასაბუთებული დასკვნების წარდგენა. მათ ეს საჯაროდ და მიუკერძოებლად უნდა გააკეთონ.

მოსამართლეები და გენერალური ადვოკატები ან თავიანთი ქვეყნების უმაღლესი სასამართლოების ყოფილი წარმომადგენლები არიან, ან უაღრესად კომპეტენტური იურისტები, რომელთა მიუკერძოებლობა ეჭვს არ იწვევს. მათი დანიშვნა ხდება წევრ სახელმწიფოთა მთავრობების ერთობლივი თანხმობის საფუძველზე. თითოეული ინიშნება ექვსწლიანი ვადით, რომლის შემდეგაც შესაძლებელია მათი ხელახლა დანიშვნა ერთი ან ორი სამწლიანი პერიოდით.

სასამართლოსთვის წარდგენილი ათასობით საქმის წარმოებაში და მოქალაქეთათვის უკეთესი სამართლებრივი დაცვის უზრუნველყოფაში დახმარების გასაწევად 1989 წელს დაარსდა

მართლმსაჯულების სასამართლო უზრუნველყოფს ყველას მიმართ თანასწორ დამოკიდებულებას ევროკავშირის კანონმდებლობის შესაბამისად. სასამართლოს შემადგენლობაში შედის თითო მოსამართლე ევროკავშირის ყოველი ქვეყნიდან.

პირველი ინსტანციის სასამართლო. ამ სასამართლოს (რომელიც მართლმსაჯულების სასამართლოს ექვემდებარება) მოვალეობაა საქმეთა გარკვეული კატეგორიების, სახელდობრ, კერძო პირთა მიერ შემოტანილი საქმეებისა და სხვადასხვა ბიზნესს შორის არასწორ კონკურენციასთან დაკავშირებული საქმეების წარმართვა.

მართლმსაჯულების სასამართლოსაც და პირველი ინსტანციის სასამართლოსაც ჰყავთ პრეზიდენტი, რომელსაც მათი წევრი მოსამართლეები ირჩევენ სამწლიანი ვადით.

რას აკეთებს მართლმსაჯულების სასა-მართლო?

სასამართლო წარმართავს მისთვის წარდგენილ საქმეებს. ქვემოთ ჩამოთვლილია საქმეთა ის ტიპები, რომლებიც ყველაზე ხშირად გვხვდება:

1. მოთხოვნები საქმესთან დაკავშირებული წინასწარი დადგენილების შესახებ;
2. სასამართლო საქმეები ვალდებულების შეუსრულებლობის გამო;
3. გაუქმებასთან დაკავშირებული სასამართლო საქმეები;
4. უმოქმედობის გამო წამოჭრილი სასამართლო საქმეები.

1. მოთხოვნები საქმესთან დაკავშირებული წინასწარი დადგენილების შესახებ

სასამართლოები ევროკავშირის თითოეულ ქვეყანაში ვალდებულნი არიან, უზრუნველყონ ამ ქვეყანაში ევროკავშირის კანონმდებლობის სათანადოდ შესრულება. მაგრამ არსებობს სხვადასხვა ქვეყნის სასამართლოების მიერ ევროკავშირის კანონმდებლობის სხვადასხვაგვარი ინტერპრეტირების საფრთხე.

სწორედ აღნიშნული საფრთხის თავიდან ასაცილებლად არსებობს „საქმესთან დაკავშირებული წინასწარი დადგენილების“ პროცედურა. ეს ნიშნავს, რომ თუ წევრი ქვეყნის სასამართლოს გაუჩნდა რაიმე ეჭვი ევროკავშირის კანონმდებლობის ინტერპრეტირებასთან ან ძალაში ყოფნასთან დაკავშირებით, მას შეუძლია, ზოგჯერ

კი ვალდებულიც არის, სთხოვოს რჩევა მართლმსაჯულების სასამართლოს. სასამართლო ამ რჩევას „საქმესთან დაკავშირებული წინასწარი დადგენილების“ პროცედურის სახით იძლევა.

2. სასამართლო საქმეები ვალდებულების შეუსრულებლობის გამო

ამგვარი საქმეების წამოწყება შეუძლია ევროკომისიას, თუკი აქვს მიზეზი იფიქროს, რომ წევრი სახელმწიფო არ ასრულებს ევროკავშირის კანონმდებლობით განსაზღვრულ თავის ვალდებულებებს. ამ საქმეების წამოწყება სხვა წევრ სახელმწიფოსაც შეუძლია.

ნებისმიერ შემთხვევაში სასამართლო განიხილავს განაცხადებს და იძლევა თავის გადაწყვეტილებას. თუ აღმოჩნდა, რომ ბრალდებული წევრი სახელმწიფო მართლაც დამნაშავეა, მან დაუყოვნებლივ უნდა გამოასწოროს მდგომარეობა.

3. გაუქმებასთან დაკავშირებული სასამართლო საქმეები

თუ რომელიმე წევრი სახელმწიფო, საბჭო, კომისია ან (გარკვეულ პირობებში) პარლამენტი მიიჩნევენ, რომ ევროკავშირის რომელიმე კონკრეტული კანონი ეწინააღმდეგება სამართლის ნორმებს, მათ შეუძლიათ სთხოვონ მართლმსაჯულების სასამართლოს ამ კანონის გაუქმება.

გაუქმებასთან დაკავშირებული სასამართლო საქმეები შეიძლება გამოყენებული იქნეს იმ კერძო პირების შემთხვევაშიც, რომლებიც სთხოვენ სასამართლოს კონკრეტული კანონის გაუქმებას იმის გამო, რომ ის უშუალოდ და უარყოფითად მოქმედებს მათზე, როგორც კერძო პირებზე.

თუ სასამართლო აღმოაჩენს, რომ განსახილველი კანონი არ იყო სწორად მიღებული ან სათანადოდ არ ემყარება ხელშეკრულებებს, მას შეუძლია ეს კანონი გაუქმებულად გამოაცხადოს.

4. უმოქმედობის გამო წამოჭრილი სასამართლო საქმეები

ხელშეკრულება ევროპარლამენტისგან, საბჭოსა და კომისიისგან მოითხოვს გარკვეულ პირობებში გარკვეული გადაწყვეტილებების მიღებას. თუ ისინი ამას ვერ აკეთებენ, წევრ სახელმწიფოებს, თანამეგობრობის სხვა ინსტიტუტებს და (გარკვეულ პირობებში) კერძო პირებსა თუ კომპანიებს შეუძლიათ მართლმსაჯულების სასამართლოში საჩივრის შეტანა და აღნიშნული დარღვევის ოფიციალურად დაფიქსირება.

როგორ არის ორგანიზებული მართლ-მსაჯულების სასამართლოს მუშაობა?

საქმეების წარდგენა ხდება კანცელარიაში და თითოეული საქმე გადაეცემა კონკრეტულ მოსამართლესა და გენერალურ ადვოკატს.

შემდგომი პროცედურა ორი ეტაპისგან შედგება: პირველია წერილობითი, მეორე კი ზეპირი ფაზა.

პირველ ეტაპზე ყველა მონაწილე მხარე წარადგენს **წერილობით განცხადებებს** და საქმისთვის მიჩენილი მოსამართლე ამზადებს **ანგარიშს**, რომელშიც აჯამებს ამ განცხადებებს და საქმის სამართლებრივ საფუძველს. აღნიშნული ანგარიშის მიხედვით საქმისთვის მიჩენილი გენერალური ადვოკატი ამზადებს თავის **დასკვნებს.** ამ დასკვნების გათვალისწინებით მოსამართლე ამზადებს **დადგენილების პროექტს**, რომელიც განსახილველად წარედგინება სასამართლოს სხვა წევრებს.

ამას მოჰყვება **მეორე ეტაპი – საქმის საჯარო განხილვა.** ჩვეულებრივ, იგი მთელი სასამართლოს („პლენარული სესიის“) წინაშე ხდება, მაგრამ შესაძლებელია საქმის განხილვა სამი ან ხუთი მოსამართლისგან შემდგარ პალატებში, რაც დამოკიდებულია საქმის მნიშვნელობაზე ან სირთულეზე. განხილვაზე მხარეთა ადვოკატები წარუდგენენ თავის საქმეს მოსამართლეებსა და გენერალურ ადვოკატს, რომელთაც შეუძლიათ დასვან კითხვები. ამის მერე გენერალური ადვოკატი გამოთქვამს თავის დასკვნებს, რის შემდეგაც მოსამართლეები მოეთათბირებიან ერთმანეთს და მიიღებენ დადგენილებას.

სასამართლოს დადგენილებებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღება ხდება ხმათა უმრავლესობით და ისინი ცხადდება საჯარო განხილვაზე. უთანხმოების გამომხატველი მოსაზრებები საჯაროდ არ ცხადდება.

აუდიტორთა ევროპული სასამართლო: ევროკავშირის სახსრების სათანადო გამოყენების მეთვალყურეობა

უმთავრესი მონაცემები:

როლი:	*ევროკავშირის სახსრების სათანადო გამოყენების მეთვალყურეობა*
წევრები:	*თითო ევროკავშირის ყოველი წევრი სახელმწიფოდან*
მოქმედების ვადა:	*სასამართლოს წევრები ინიშნებიან ექვსწლიანი ვადით, რომლის განახლებაც შესაძლებელია*
მისამართი:	*12 rue Alcide de Gasperi, L-1615 Luxembourg*
ტელეფონი:	*(352) 4398-1*
ინტერნეტი:	*www.eca.eu.int*

აუდიტორთა სასამართლო მეთვალყურეობს ევროკავშირის მთელი შემოსავლის მიღებას და მთელი მისი ხარჯების გაწევას კანონიერი და რეგულარული სახით, აგრეთვე, ევროკავშირის ბიუჯეტის სათანადოდ მართვას. აუდიტორთა სასამართლო 1977 წელს ჩამოყალიბდა.

სასამართლოს შემადგენლობაში შედის თითო წევრი ევროკავშირის ყოველი სახელმწიფოდან. ამ წევრებს ნიშნავს საბჭო ექვსწლიანი ვადით, რომლის შემდეგაც შესაძლებელია მათი ხელახლა დანიშვნა. გაფართოების შემდეგაც კი სასამართლოში დარჩება ყოველი წევრი ქვეყნიდან თითო წარმომადგენელი, მაგრამ ეფექტიანი მუშაობის მიზნით სასამართლოს შეეძლება „პალატების" (თითოეულში წევრების მცირე რაოდენობით) შექმნა გარკვეული სახის ანგარიშების ან დასკვნების მოსამზადებლად.

სასამართლოს ყველა წევრი თავის სამშობლოში მუშაობდა აუდიტორულ დაწესებულებებში ან საგანგებოდ არის მომზადებული ამგვარი სამუშაოსთვის. ისინი შერჩეულნი არიან კომპეტენტურობისა და დამოუკიდებლობის გამო და ყველა სრული დატვირთვით მუშაობს აუდიტორთა სასამართლოში.

სასამართლოს წევრები ირჩევენ ერთ-ერთს პრეზიდენტად სამწლიანი ვადით.

რას აკეთებს აუდიტორთა სასამართლო?

აუდიტორთა სასამართლოს ძირითადი დანიშნულებაა იმის მეთვალყურეობა, რომ ევროკავშირის ბიუჯეტი სწორად სრულდებოდეს – სხვაგვარად რომ ვთქვათ, რომ ევროკავშირის შემოსავალი და გასავალი კანონიერი და პატიოსანი იყოს, გარდა ამისა, სასამართლოს ფუნქციაში შედის სათანადო და საიმედო ფინანსური მართვის უზრუნველყოფა. ამრიგად, სასამართლოს მუშაობა ხელს უწყობს ევროკავშირის სისტემის ეფექტიანი და საჯარო ფუნქციონირების გარანტირებას.

აღნიშნული ამოცანების შესასრულებლად სასამართლო განიხილავს ევროკავშირის შემოსავალთან თუ გასავალთან დაკავშირებული საქმიანობის მწარმოებელი ნებისმიერი ორგანიზაციის დოკუმენტაციას. საჭიროების შემთხვევაში სასამართლო ატარებს დაუგეგმავ შემოწმებებს. მის მიერ აღმოჩენილი ფაქტების საფუძველზე დგება ანგარიშები, რომლებიც ამა თუ იმ პრობლემებს ევროკომისიისა და წევრ სახელმწიფოთა ყურადღებას მიაპყრობს.

იმისათვის, რომ თავისი საქმე ეფექტიანად შეასრულოს, აუდიტორთა სასამართლო სხვა ინსტიტუტებისგან დამოუკიდებელი უნდა იყოს, თუმცა, ამავე დროს, აუცილებელია მათ შორის რეგულარული კავშირის არსებობა.

სასამართლოს ერთ-ერთი ძირითადი ფუნქციაა ბიუჯეტთან დაკავშირებული პასუხისმგებლობის მქონე უწყებებისთვის (ევროპარლამენტისა და

საბჭოსთვის) დახმარების გაწევა. ეს დახმარება გულისხმობს ამ ინსტიტუტებისთვის ყოველწლიურად გასული წლის ფინანსური ანგარიშის წარდგენას. ის შენიშვნები, რომლებსაც სასამართლო აკეთებს **წლიურ ანგარიშში,** ძალზე მნიშვნელოვან როლს ასრულებს პარლამენტის გადაწყვეტილებისთვის, დაამტკიცოს თუ არა კომისიის მიერ ბიუჯეტის მართვა. თუ აუდიტორთა სასამართლო დაკმაყოფილდება შემოწმების შედეგებით, იგი საბჭოსა და პარლამენტს უგზავნის **გარანტიას**, რომ გადასახადების ევროპელ გადამხდელთა ფული სათანადოდ იქნა გამოყენებული.

და ბოლოს, ევროკავშირის ფინანსური დირექტივების მიღებამდე აუდიტორთა სასამართლო წარმოადგენს თავის დასკვნას. მას ნებისმიერ დროს შეუძლია კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებით შენიშვნების გაკეთება ანდა ევროკავშირის რომელიმე ინსტიტუტის თხოვნით მისთვის დასკვნის წარდგენა.

როგორ არის ორგანიზებული აუდიტორთა სასამართლოს მუშაობა?

აუდიტორთა სასამართლო დამოუკიდებლად მუშაობს და თავად განსაზღვრავს, თუ როგორ დაგეგმოს საკუთარი სააუდიტორო მუშაობა, რა სახით და როდის წარადგინოს თავისი დასკვნები და რა სახით და მასშტაბით გახადოს საჯარო თავისი ანგარიშები და დასკვნები.

სასამართლოში დაახლოებით 550 კვალიფიციური თანამშრომელი მუშაობს, აქედან 250 აუდიტორია. აუდიტორები დაყოფილნი არიან „აუდიტორულ ჯგუფებად“. მათი მოვალეობაა, მოამზადონ ანგარიშების პროექტები, რომლებთან დაკავშირებითაც სასამართლო იღებს გადაწყვეტილებებს.

აუდიტორები ხშირად დადიან მივლინებებში, რათა შეამოწმონ ევროკავშირის სხვა ინსტიტუტები, წევრი სახელმწიფოები და ნებისმიერი ქვეყანა, რომელიც ევროკავშირის დახმარებას ღებულობს. მართალია, აუდიტორთა სასამართლოს სამუშაო უმთავრესად იმ თანხებს შეეხება, რომლებზეც ევროკომისიაა პასუხისმგებელი, მაგრამ ამ შემოსავლისა და გასავლის 90% რეალურად წევრი ქვეყნების ხელისუფლებათა მიერ იმართება.

აუდიტორთა სასამართლოს არა აქვს საკუთარი იურიდიული ძალაუფლება. თუ აუდიტორები თაღლითობას ან რაიმე უწესრიგობას აღმოაჩენენ, ისინი რაც შეიძლება სწრაფად გადასცემენ ინფორმაციას ევროკავშირის პასუხისმგებელ უწყებებს, რათა ამ უწყებებმა მიიღონ შესაბამისი ზომები.

ევროკავშირის ბიუჯეტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მუხლია გარემო პირობების ხელშემწყობი ფერმერობისთვის (როდესაც ცხოველებს კარგად ეპყრობიან და ჯანმრთელი საკვები იწარმოება) დახმარების გაწევა. აუდიტორები ამოწმებენ, რომ ეს თანხები, ისევე, როგორც ევროკავშირის ბიუჯეტის დანარჩენი ნაწილი, სწორად იხარჯებოდეს.

ცენტრალური ევროპული ბანკი: ევროს მართვა

უმთავრესი მონაცემები:

როლი:	*ევროსა და ევროკავშირის მონეტარული პოლიტიკის მართვა*
წევრები:	*მმართველი საბჭო 18,* *ზოგადი საბჭო 17,* *აღმასრულებელი საბჭო 6*
მისამართი:	*Kaiserstrasse 29, D-60311 Frankfurt am Main*
ტელეფონი:	*(49) 691 34 40*
ინტერნეტი:	*www.ecb.int*

დღესდღეობით ევროკავშირის 15 წევრიდან თორმეტში ერთი ფულადი ერთეული – ევრო – მოქმედებს. ევროს ბანკნოტებმა და მონეტებმა 2002 წლის 1 იანვრიდან დაიწყო ბრუნვა.

ცენტრალური ევროპული ბანკი დაარსდა 1998 წელს ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულების საფუძველზე. მისი დაარსება მიზნად ისახავდა ახალი ფულადი ერთეულის შემოღებას და მართვას – უცხოური ვალუტის გაცვლის ოპერაციების წარმოებას და გადახდის სისტემების შეუფერხებელი ფუნქციონირების უზრუნველყოფას. გარდა ამისა, ცენტრალური ევროპული ბანკი პასუხისმგებელია ევროკავშირის ეკონომიკური და მონეტარული პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაზე.

თავისი დანიშნულების შესასრულებლად ცენტრალური ევროპული ბანკი თანამშრომლობს „ცენტრალური ბანკების ევროპულ სისტემასთან“. ეს სისტემა ევროკავშირის ყველა, თხუთმეტივე სახელმწიფოში მოქმედებს. მაგრამ ევრო მხოლოდ 12-მა ქვეყანამ მიიღო. ეს 12 სახელმწიფო ერთად ქმნის „ევროს მოქმედების ზონას“, ხოლო მათი ცენტრალური ბანკები, ცენტრალურ ევროპულ ბანკთან ერთად, შეადგენენ ე. წ. „ევროსისტემას“.

ცენტრალური ევროპული ბანკი აბსოლუტურად დამოუკიდებლად მუშაობს. არც ცენტრალურ ევროპულ ბანკს, არც ევროსისტემის რომელიმე ეროვნულ ცენტრალურ ბანკს და არც ამ ბაკებში გადაწყვეტილების მიმღები ორგანოების რომელიმე წევრს არ შეუძლიათ სთხოვონ ან მიიღონ მითითებები რომელიმე სხვა უწყებისგან. ევროკავშირის ინსტიტუტები და წევრ სახელმწიფოთა მთავრობები პატივისცემით უნდა მოეპყრონ ამ პრინციპს და არ უნდა შეეცადონ ცენტრალურ ევროპულ ბანკსა თუ ეროვნულ ცენტრალურ ბანკებზე ზეგავლენის მოხდენას.

ეროვნულ ცენტრალურ ბანკებთან მჭიდრო თანამშრომლობით ცენტრალური ევროპული ბანკი ამზადებს და ახორციელებს ევროსისტემის გადაწყვეტილების მიმღები ორგანოების – მმართველი საბჭოს, აღმასრულებელი საბჭოს და ზოგადი საბჭოს – მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს.

რას აკეთებს ბანკი?

ცენტრალური ევროპული ბანკის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა **ევროს მოქმედების ზონაში ფასების სტაბილურობის** შენარჩუნება, ევროს მსყიდველობითი უნარიანობის დაცვა.

ეს ამოცანა გულისხმობს ინფლაციის მკაცრ კონტროლს: ცენტრალური ევროპული ბანკი მიზნად ისახავს უზრუნველყოს, რომ სამომხმარებლო ფასების ყოველწლიური ზრდა 2%-ზე ნაკლები იყოს. ბანკი ამას ორი გზით ახორციელებს:

- პირველ რიგში, **აკონტროლებს ფულად მარაგებს**. თუ ფულადი მარაგი აღემატება საქონლისა და მომსახურების მარაგს, ამას შედეგად ინფლაცია მოჰყვება;
- მეორე – **თვალყურს ადევნებს ფასების მხრივ არსებულ ტენდენციებს** და აფასებს იმ საშიშროებას, რომლითაც ისინი ემუქრება ევროს მოქმედების ზონაში ფასების სტაბილურობას.

ფულადი მარაგების კონტროლი, სხვა საკითხებთან ერთად, გულისხმობს **ევროს მოქმედების ზონაში**

საპროცენტო განაკვეთების დადგენას. ეს, ალბათ, ბანკის ყველაზე ცნობილი საქმიანობაა.

როგორ არის ორგანიზებული ბანკის მუშაობა?

ცენტრალური ევროპული ბანკის მუშაობა ორგანიზებულია გადაწყვეტილების მიმღები ორგანოების მიერ, რომლებიც ქვემოთ არის განხილული.

აღმასრულებელი საბჭო

ამ საბჭოში შედის ცენტრალური ევროპული ბანკის პრეზიდენტი, ვიცე-პრეზიდენტი და ოთხი სხვა წევრი. საბჭოს ყველა წევრი ინიშნება ევროს მოქმედების ზონაში შემავალი ქვეყნების პრეზიდენტების ან პრემიერ-მინისტრების საერთო თანხმობით. აღმასრულებელი საბჭოს წევრები ინიშნებიან რვაწლიანი ვადით, რომლის განახლებაც არ შეიძლება.

აღმასრულებელი საბჭოს მოვალეობაა მმართველი საბჭოს (იხ. ქვემოთ) მიერ განსაზღვრული მონეტარული პოლიტიკის განხორციელება და ეროვნული ცენტრალური ბანკებისთვის მითითებების მიცემა. გარდა ამისა, საბჭო ამზადებს მმართველი საბჭოს სხდომებს და აკისრია ცენტრალური ევროპული ბანკის ყოველდღიური მართვის ფუნქცია.

მმართველი საბჭო

მმართველი საბჭო ცენტრალური ევროპული ბანკის უმაღლესი ორგანოა გადაწყვეტილებათა მიღებაზე პასუხისმგებლობის თვალსაზრისით. მის შემადგენლობაში აღმასრულებელი საბჭოს ექვსი წევრი და ევროს მოქმედების ზონის 12 ცენტრალური ბანკის მმართველები შედიან. საბჭოს თავმჯდომარეა ცენტრალური ევროპული ბანკის პრეზიდენტი, რომლის ძირითადი დანიშნულებაა ევროს მოქმედების ზონაში მონეტარული პოლიტიკის განსაზღვრა და, განსაკუთრებით, იმ საპროცენტო განაკვეთების დადგენა, რომლებითაც კომერციულ ბანკებს შეუძლიათ ფულის მიღება ცენტრალური ბანკიდან.

ზოგადი საბჭო

ზოგადი საბჭო ცენტრალური ევროპული ბანკის კიდევ ერთი ორგანოა, რომელსაც გადაწყვეტილებათა მიღება აკისრია. მის შემადგენლობაში შედიან ცენტრალური ევროპული ბანკის პრეზიდენტი, ვიცე-პრეზიდენტი და ევროკავშირის თხუთმეტივე წევრი სახელმწიფოს ცენტრალური ბანკების მმართველები. ზოგადი საბჭო მონაწილეობს ცენტრალური ევროპული ბანკის საკონსულტაციო და საკოორდინაციო მუშაობაში და თავისი წვლილი შეაქვს ევროს მოქმედების ზონის სამომავლო გაფართოებისთვის მომზადებაში.

ვიმ დუისენბერგი ცენტრალური ევროპული ბანკის პრეზიდენტად 1998 წელს დაინიშნა. ბანკის ძირითადი საქმეა ინფლაციის თვალსაზრისით არსებული მდგომარეობის მუდმივი კონტროლი.

ეკონომიკურ და სოციალურ საკითხთა ევროპული კომიტეტი: სამოქალაქო საზოგადოების ხმა

უმთავრესი მონაცემები:

როლი:	*წარმოადგენს ორგანიზებულ სამოქალაქო საზოგადოებას*
წევრები:	*ამჟამად 222. წევრთა მაქსიმალური რაოდენობაა 350*
მოქმედების ვადა:	*ოთხი წელი*
სხდომები:	*ბრიუსელი, ყოველთვიური*
მისამართი:	*2 rue Ravenstain, B-1000 Brussels*
ტელეფონი:	*(32–2) 546 90 11*
ინტერნეტი:	*www.esc.eu.int*

1957 წელს რომის ხელშეკრულების საფუძველზე დაარსებული ეკონომიკურ და სოციალურ საკითხთა ევროპული კომიტეტი საკონსულტაციო ორგანოა, რომელიც წარმოადგენს დამსაქმებლებს, პროფესიულ კავშირებს, ფერმერებს, მომხმარებლებსა და სხვა ინტერესთა ჯგუფებს, რომლებიც ერთობლივად ქმნიან „ორგანიზებულ სამოქალაქო საზოგადოებას“. კომიტეტი წარმოადგენს მათ შეხედულებებს და იცავს მათ ინტერესებს ევროკომისიასთან, საბჭოსა და ევროპარლამენტთან პოლიტიკურ დისკუსიებში.

ამდენად, ეკონომიკურ და სოციალურ საკითხთა ევროპული კომიტეტი წარმოადგენს ხიდს ევროკავშირსა და მის მოქალაქეებს შორის და ხელს უწყობს ევროპაში უფრო აქტიური, საერთო პროცესებში მეტი მონაწილეობის შესაძლებლობის მქონე და, შესაბამისად, უფრო დემოკრატიული საზოგადოების არსებობას.

კომიტეტი ევროკავშირში გადაწყვეტილებათა მიღების პროცესის განუყოფელი მონაწილეა: ეკონომიკურ და სოციალურ პოლიტიკასთან

დასაქმებაზე ევროპაში დიდ ზეგავლენას ახდენს ევროკავშირის პოლიტიკა. ეკონომიკურ და სოციალურ საკითხთა ევროპული კომიტეტის მეშვეობით დამსაქმებლებსა და პროფესიულ კავშირებს აქვთ ამ პოლიტიკის ფორმირებაში თავისი სიტყვის თქმის შესაძლებლობა.

დაკავშირებულ გადაწყვეტილებათა მიღებამდე აუცილებელია მასთან კონსულტირება. გარდა ამისა, კომიტეტს შეუძლია საკუთარი ინიციატივით წარადგინოს მოსაზრებები იმ სხვა საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც მას მნიშვნელოვნად მიაჩნია.

ახალი წევრი სახელმწიფოების შემოერთებამდე ეკონომიკურ და სოციალურ საკითხთა ევროპულ კომიტეტში 222 წევრია – წევრთა რაოდენობა ევროკავშირის თითოეული ქვეყნიდან დაახლოებით ასახავს ქვეყნის მოსახლეობას. ქვემოთ მითითებულია წევრთა რაოდენობა ქვეყნების მიხედვით:

გერმანია, საფრანგეთი, იტალია და გაერთიანებული სამეფო	24
ესპანეთი	21
ბელგია, საბერძნეთი, ნიდერლანდები, ავსტრია, პორტუგალია და შვეცია	12
დანია, ირლანდია და ფინეთი	9
ლუქსემბურგი	6
სულ	**222**

გაფართოების შემდეგ წევრთა რაოდენობა ამ ქვეყნებისთვის არ შეიცვლება, თუმცა კომიტეტში შევლენ ახალი წევრი სახელმწიფოების წარმომადგენლები. ქვემოთ მითითებულია წევრთა რაოდენობა თითოეული ახალი წევრი ქვეყნისათვის:

პოლონეთი	21
რუმინეთი	15
ბულგარეთი, ჩეხეთის რესპუბლიკა და უნგრეთი	12
ლიტვა და სლოვაკეთი	9
ესტონეთი, ლატვია, და სლოვენია	7
კვიპროსი	6
მალტა	5

ამგვარად, კომიტეტში სულ 344 წევრი იქნება.

წევრების კანდიდატურებს ევროკავშირის წევრ სახელმწიფოთა მთავრობები ასახელებენ, მაგრამ ეს წევრები პოლიტიკური თვალსაზრისით აბსოლუტურად დამოუკიდებლად მუშაობენ. ისინი ინიშნებიან ოთხწლიანი ვადით და შესაძლებელია მათი ახალი ვადით არჩევა.

კომიტეტი იკრიბება პლენარული ასამბლეის სახით და მის დისკუსიებს ამზადებს ექვსი ქვეკომიტეტი, რომელთაც „სექციები“ ეწოდება. თითოეული სექცია პოლიტიკის კონკრეტულ სფეროში მუშაობს. კომიტეტი ირჩევს თავის პრეზიდენტს და ორ ვიცე-პრეზიდენტს ორწლიანი ვადით.

რას აკეთებს ეკონომიკურ და სოციალურ საკითხთა ევროპული კომიტეტი?

ეკონომიკურ და სოციალურ საკითხთა ევროპულ კომიტეტს სამი ძირითადი ფუნქცია აკისრია:

- ევროკავშირის საბჭოსთვის, კომისიისა და ევროპარლამენტისთვის კონსულტაციების გაწევა მათი თხოვნის საფუძველზე ან კომიტეტის საკუთარი ინიციატივით;
- ევროკავშირის მასშტაბით გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში უფრო აქტიური მონაწილეობის მისაღებად სამოქალაქო საზოგადოების წახალისება;
- სამოქალაქო საზოგადოების როლის განმტკიცების ხელშეწყობა იმ ქვეყნებში, რომლებიც არ არიან ევროკავშირის წევრები, და საკონსულტაციო სტრუქტურების ჩამოყალიბებისთვის დახმარების გაწევა.

ვინ არიან ეკონომიკურ და სოციალურ საკითხთა ევროპული კომიტეტის წევრები?

ეკონომიკურ და სოციალურ საკითხთა ევროპული კომიტეტის წევრები, რომლებიც, ძირითადად, თავთავიანთ ქვეყნებში მუშაობენ, ქმნიან სამ ჯგუფს. ეს ჯგუფები წარმოადგენს დამსაქმებლებს, მშრომელებსა და სხვადასხვა ეკონომიკურ და სოციალურ ინტერესებს.

დამსაქმებელთა ჯგუფში შედიან წევრები მრეწველობის კერძო და სახელმწიფო სექტორებიდან, მცირე და საშუალო ზომის ბიზნესებიდან, სავაჭრო პალატებიდან, საბითუმო და საცალო ვაჭრობიდან, საბანკო საქმიდან და დაზღვევიდან, ტრანსპორტისა და სოფლის მეურნეობის სფეროებიდან.

მშრომელთა ჯგუფი წარმოადგენს დასაქმებულთა ყველა კატეგორიას, დაწყებული ფიზიკური შრომით დაკავებული პირებისგან, დამთავრებული აღმასრულებელი მუშაკებით. ჯგუფის წევრები ევროკავშირის წევრ სახელმწიფოთა პროფკავშირული ორგანიზაციებიდან არიან.

მესამე ჯგუფი წარმოადგენს ინტერესთა ფართო სპექტრს: არასამთავრობო ორგანიზაციებს, ფერმერთა ორგანიზაციებს, მცირე ბიზნესებს, სხვადასხვა ხელობებსა და პროფესიებს, კოოპერატივებსა და არაკომერციულ ასოციაციებს, სამომხმარებლო და გარემოსდაცვით ორგანიზაციებს, სამეცნიერო და აკადემიურ საზოგადოებებს და ასოციაციებს, რომლებიც წარმოადგენენ ოჯახს, ქალებს, ინვალიდებს და ა.შ.

რეგიონული კომიტეტი: ადგილობრივ მთავრობათა ხმა

უმთავრესი მონაცემები:

როლი:	*წარმოადგენს ხელისუფლების რეგიონულ და ადგილობრივ ორგანოებს*
წევრები:	*ამჟამად 222. წევრთა მაქსიმალური რაოდენობაა 350*
მოქმედების ვადა:	*ოთხი წელი*
სხდომები:	*ბრიუსელი, ხუთი პლენარული სხდომა წელიწადში*
მისამართი:	*79 rue Belliard, B-1040 Brussels*
ტელეფონი:	*(32-2) 282 22 11*
ინტერნეტი:	*www.cor.eu.int*

1994 წელს ევროკავშირის შესახებ (მაასტრიხტის) ხელშეკრულების საფუძველზე დაარსებული რეგიონული კომიტეტი საკონსულტაციო ორგანოა, რომელიც შედგება ევროპის ქვეყნების რეგიონული და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოთა წარმომადგენლებისაგან. კომიტეტი უზრუნველყოფს, რომ ხელისუფლების ამ ორგანოებს ჰქონდეთ ევროკავშირის პოლიტიკის ფორმირებაში თავისი სიტყვის თქმის შესაძლებლობა, უზრუნველყოფს, აგრეთვე, რეგიონული და ადგილობრივი თავი-სებურებებისა და პრეროგატივების პატივისცემას.

აუცილებელია კომიტეტთან კონსულტირება საკითხებზე, რომლებიც ეხება ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფლებას, როგორიც არის, მაგალითად, რეგიონული პოლიტიკა, გარემოს დაცვა, განათლება და ტრანსპორტი.

ახალი წევრი სახელმწიფოების შემოერთებამდე რეგიონულ კომიტეტში 222 წევრია. წევრთა რაოდენობა ევროკავშირის თითოეული ქვეყნიდან დაახლოებით ასახავს ქვეყნის მოსახლეობას. ქვემოთ მითითებულია წევრთა რაოდენობა ქვეყნების მიხედვით:

გერმანია, საფრანგეთი, იტალია და გაერთიანებული სამეფო	24
ესპანეთი	21
ბელგია, საბერძნეთი, ნიდერლანდები, ავსტრია, პორტუგალია და შვეცია	12
დანია, ირლანდია და ფინეთი	9
ლუქსემბურგი	6
სულ	**222**

გაფართოების შემდეგ წევრთა რაოდენობა ამ ქვეყნებისთვის არ შეიცვლება, თუმცა კომიტეტში შევლენ ახალი წევრი სახელმწიფოების წარმომადგენლები. ქვემოთ მითითებულია წევრთა რაოდენობა თითოეული ახალი წევრი ქვეყნისათვის:

პოლონეთი	21
რუმინეთი	15
ბულგარეთი, ჩეხეთის რესპუბლიკა და უნგრეთი	12
ლიტვა და სლოვაკეთი	9
ესტონეთი, ლატვია, და სლოვენია	7
კვიპროსი	6
მალტა	5

ამგვარად, კომიტეტში 344 წევრი იქნება.

კომიტეტის წევრებად ირჩევენ მუნიციპალური ან რეგიონული მასშტაბის პოლიტიკოსებს, რომლებიც წარმოადგენენ ევროკავშირში ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების საქმიანობის მთელს სპექტრს. ეს წევრები შეიძლება იყვნენ რეგიონული პრეზიდენტები, რეგიონული პარლამენტარები, ქალაქის საბჭოს წევრები, დიდი ქალაქების მერები და ა.შ.

წევრების კანდიდატურებს ევროკავშირის წევრ სახელმწიფოთა მთავრობები ასახელებენ, მაგრამ ეს წევრები პოლიტიკური თვალსაზრისით აბსოლუტურად დამოუკიდებლად მუშაობენ.

ევროკავშირის საბჭო რეგიონული კომიტეტის წევრებს ოთხწლიანი ვადით ნიშნავს და შესაძლებელია მათი ახალი ვადით არჩევა. ნიცის ხელშეკრულების თანახმად, კომიტეტის წევრებს უნდა ჰქონდეთ, აგრეთვე, იმ ხელისუფლების მანდატი, რომელსაც წარმოადგენენ, ანდა პოლიტიკური თვალსაზრისით მათ წინაშე ანგარიშვალდებულნი უნდა იყვნენ.

რეგიონული კომიტეტი ორწლიანი ვადით ნიშნავს პრეზიდენტს თავის წევრთა რიგებიდან.

რას აკეთებს რეგიონული კომიტეტი?

რეგიონული კომიტეტის დანიშნულებაა ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაკავშირებით ადგილობრივი და რეგიონული თვალსაზრისების წამოჭრა. კომიტეტი ამას ევროკომისიის წინადადებების თაობაზე დასკვნების წარდგენის სახით აკეთებს.

კომისია და საბჭო ვალდებულნი არიან, მოეთათბირონ რეგიონულ კომიტეტს იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც უშუალოდ ეხება ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფლებას, თუმცა მათ კომიტეტთან კონსულტაციების გამართვა სურვილის შემთხვევაში ნებისმიერ დროს შეუძლიათ. თავის მხრივ, კომიტეტს შეუძლია დასკვნების საკუთარი ინიციატივით მომზადება და კომისიისთვის, საბჭოსა და ევრო-პარლამენტისთვის წარდგენა.

როგორ არის ორგანიზებული რეგიონული კომიტეტის მუშაობა?

რეგიონული კომიტეტი ყოველწლიურად მართავს ხუთ პლენარულ სესიას, რომელთა განმავლობაშიც განისაზღვრება მისი ზოგადი პოლიტიკა და მზადდება დასკვნები.

კომიტეტის წევრები ნაწილდებიან სპეციალისტთა კომისიებში, რომელთა ფუნქციას პლენარული სესიების მომზადება წარმოადგენს. არსებობს ექვსი კომისია:

- კომისია ტერიტორიული ერთიანობის პოლიტიკის საკითხებში;
- კომისია ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის საკითხებში;
- კომისია მდგრადი განვითარების საკითხებში;
- კომისია კულტურისა და განათლების საკითხებში;
- კომისია კონსტიტუციურ და ევროპული მმართველობის საკითხებში;
- კომისია საგარეო ურთიერთობათა საკითხებში.

რეგიონული კომიტეტის მეშვეობით მერებს და ქალაქის საბჭოს წევრებს მთელი ევროპიდან აქვთ შესაძლებლობა, გამოთქვან თავიანთი მოსაზრებები ევროკავშირის მასშტაბით ისეთი ქმედებების თაობაზე, რომლებიც ზემოქმედებას ახდენს რეგიონებზე, როგორიც არის, მაგალითად, ტრანსპორტი, კომუნიკაციებისა და ენერგეტიკული ქსელების გაუმჯობესებისკენ მიმართული პროექტები.

ევროპის საინვესტიციო ბანკი: ევროკავშირის პროექტების დაფინანსება

უმთავრესი მონაცემები:

როლი:	*აფინანსებს ევროკავშირის პროექტებს*
წევრები:	*წევრ სახელმწიფოთა დირექტორების საბჭო – 25 მმართველი კომიტეტი – 8*
მისამართი:	*100 Boulevard Konrad AdenauerL-2950 Luxembourg*
ტელეფონი:	*(352) 4379-1*
ინტერნეტი:	*www.eib.eu.int*

ევროპის საინვესტიციო ბანკი 1958 წელს, რომის ხელშეკრულების საფუძველზე დაარსდა. გარკვეული ტიპის საინვესტიციო პროექტების დაფინანსებით ბანკი ეხმარება ევროკავშირის მიზნების მიღწევას.

შერჩეული პროექტები ხელს უწყობს ევროპულ ინტეგრაციას, გაწონასწორებულ განვითარებას, ეკონომიკურ და სოციალურ ერთობას და ნოვატორულ, საფუძვლიან ცოდნაზე დამყარებულ ეკონომიკას.

რას აკეთებს ბანკი?

ევროპის საინვესტიციო ბანკის დანიშნულებაა ისეთი პროექტების ინვესტირება, რომლებიც ხელს უწყობს ევროკავშირის მიზნების მიღწევას. ბანკი არაკომერციული დაწესებულებაა, იგი არ ღებულობს არანაირ სარგებელს დანაზოგებიდან თუ მიმდინარე ანგარიშებიდან და არც ევროკავშირის ბიუჯეტიდან რაიმე თანხებით სარგებლობს. ნაცვლად ამისა, ევროპის საინვესტიციო ბანკის დაფინანსება ხდება ფინანსურ ბაზრებზე სესხების აღების გზით და ბანკის აქციონერების – ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების – მეშვეობით. წევრ ქვეყნებს ერთობლივად შეაქვთ თანხები ბანკის კაპიტალში; თითოეული ქვეყნის შენატანი ასახავს ევროკავშირში მის ეკონომიკურ მნიშვნელობას.

წევრი სახელმწიფოების მხრიდან ამგვარი მხარდაჭერა ევროპის საინვესტიციო ბანკს კრედიტუნარიანობის უმაღლეს შესაძლო სიდიდეს (AAA) ანიჭებს ფულის ბაზრებზე, რომლებზეც მას, შესაბამისად, ძალზე კონკურენტუნარიანი პირობებით კაპიტალის ძალზე დიდი თანხების მოზიდვა შეუძლია. ეს, თავის მხრივ, საშუალებას აძლევს ბანკს, მოახდინოს საზოგადოებრივი ინტერესის მქონე ისეთ პროექტებში ინვესტირება, რომლებიც სხვაგვარად ფულს ვერ მოიპოვებდნენ – ანდა მოუწევდათ თანხების უფრო მაღალი განაკვეთით სესხება.

ის პროექტები, რომლებშიც ბანკი ინვესტიციებს ახორციელებს, საგულდაგულოდ ირჩევა შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

- ისინი ხელს უნდა უწყობდეს ევროკავშირის ისეთი მიზნების მიღწევას, როგორიც არის ევროპული ინდუსტრიებისა და მცირე ბიზნესების კონკურენტუნარიანობის გაზრდა; ტრანს-ევროპული (სატრანსპორტო, კავშირგაბმულობისა და ენერგეტიკული) ქსელების შექმნა; საინფორმაციო ტექნოლოგიების სექტორის მხარდაჭერა; ბუნებრივი და ურბანული გარემოს დაცვა; ჯანდაცვისა და განათლების მომსახურების გაუმჯობესება;
- მათ, უმთავრესად, ყველაზე არახელსაყრელ მდგომარეობაში მყოფი რეგიონებისთვის უნდა მოჰქონდეთ სარგებლობა;
- ისინი ხელს უნდა უწყობდეს დაფინანსების სხვა წყაროების მოზიდვას.

ეს კრიტერიუმები ეხება საქმიანობას როგორც თავად ევროკავშირში, ისე მის ფარგლებს გარეთ. ევროპის საინვესტიციო ბანკის საქმიანობის დაახლოებით 90% ევროკავშირში ხორციელდება, თუმცა დაფინანსების მნიშვნელოვან ნაწილს მომავალი წევრი ქვეყნებიც იღებენ.

გარდა ამისა, ევროპის საინვესტიციო ბანკი ხელს უწყობს მდგრად განვითარებას ხმელთაშუა ზღვის აუზის, აფრიკის, კარიბის ზღვისა და წყნარი

ოკეანის აუზის ქვეყნებში, აგრეთვე, აფინანსებს პროექტებს ლათინურ ამერიკასა და აზიაში.

და ბოლოს, ევროპის საინვესტიციო ბანკი ევროპის საინვესტიციო ფონდის აქციათა უმრავლესობის მფლობელია. ეს ფონდი 1994 წელს დაარსდა მცირე და საშუალო ზომის საწარმოთა საქმიანობაში ინვესტიციების განხორციელების მიზნით.

როგორ არის ორგანიზებული ბანკის მუშაობა?

უშუალოდ ბანკი ფართომასშტაბიანი (სულ მცირე, 25 მილიონი ევროს ღირებულების) პროექტების ორგანიზატორებთან აწარმოებს საქმეს, ხოლო შედარებით მომცრო პროექტებთან დაკავშირებით (მცირე და საშუალო ზომის საწარმოები ან ადგილობრივი ხელისუფლება) იგი თანამშრომლობს ევროპის დაახლოებით 180 ბანკთან და საგანგებო ფინანსურ შუამავალთან.

ევროპის საინვესტიციო ბანკი ავტონომიური ინსტიტუტია. თავის გადაწყვეტილებებს, რომლებიც მის სესხება–გასესხების პოლიტიკას ეხება, იგი იღებს მხოლოდ თითოეული პროექტის ღირ–სებებისა და ფინანსური ბაზრების მიერ შემოთავაზებული შესაძლებლობების გათვალისწი–ნებით. ბანკი ყოველწლიურად წარადგენს ანგარიშს მთელ თავის საქმიანობასთან დაკავშირებით.

ევროპის საინვესტიციო ბანკი თანამშრომლობს ევროკავშირის ინსტიტუტებთან. მაგალითად, მის წარმომადგენლებს შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ ევროპარლამენტის კომიტეტების მუშაობაში, ხოლო ბანკის პრეზიდენტს შეუძლია დაესწროს საბჭოს სხდომებს.

ევროპის საინვესტიციო ბანკის გადაწყვეტილებებს შემდეგი უწყებები იღებენ:

- **მმართველთა საბჭო**, რომელიც შედგება ყველა წევრი სახელმწიფოს მინისტრებისაგან (ჩვეულებრივ, ფინანსთა მინისტრებისაგან). საბჭო განსაზღვრავს ბანკის თანხების გასესხების ზოგად პოლიტიკას, ამტკიცებს საბალანსო უწყისს და წლიურ ანგარიშს, ანიჭებს ბანკს ევროკავშირის ფარგლებს გარეთ პროექტების დაფინანსების უფლებამოსილებას და იღებს გადაწყვეტილებებს კაპიტალის გაზრდასთან დაკავშირებით;
- **დირექტორთა საბჭოში,** რომლის თავმჯდომარეა ბანკის პრეზიდენტი, შედის 24 წევრი, რომლებსაც ნიშნავენ წევრი სახელმწიფოები, და ევროკომისიის მიერ დანიშნული ერთი წევრი. საბჭო ამტკიცებს სესხებისა და გასესხების ოპერაციებს და უზრუნველყოფს ევროპის საინვესტიციო ბანკის სათანადო მართვას;
- **მმართველი კომიტეტი** ბანკის აღმასრულებელი ორგანოა, რომელიც სრული დატვირთვით მუშაობს. მისი მოვალეობაა ევროპის საინვესტიციო ბანკის ყოველდღიური მუშაობის წარმართვა.

ევროპის საინვესტიციო ბანკი აფინანსებს რიგ პროექტებს, მათ შორის, ახალ სარკინიგზო და საგზაო კავშირებთან დაკავშირებულ პროექტებს, რომლებიც მიზნად ისახავს ევროპის სატრანსპორტო ქსელების გაუმჯობესებას.

ევროპის ომბუდსმენი

უმთავრესი მონაცემები:

როლი:	*არასათანადო ადმინისტრირების შემთხვევათა გამოვლენა*
მოქმედების ვადა:	*ხუთი წელი; შესაძლებელია ამ ვადის გაგრძელება*
მისამართი:	*1 avenue du Président Robert SchumanB. P. 403 F-67001 Strasbourg*
ტელეფონი:	*(33) 388 17 23 13*
ინტერნეტი:	*www.euro-ombudsman.eu.int*

ევროპის ომბუდსმენის თანამდებობა ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულების (მაასტრიხტი, 1992) საფუძველზე იქნა შემოღებული. ომბუდსმენი არის შუამავალი მოქალაქესა და ევროკავშირის ხელისუფლებას შორის. მას მინიჭებული აქვს უფლება, მიიღოს და განიხილოს საჩივრები ევროკავშირის მოქალაქეებისგან, კომპანიებისა და დაწესებულებებისგან, აგრეთვე, ყველა იმ ადამიანისგან, ვინც ცხოვრობს ან იურიდიული მისამართი გააჩნია ევროკავშირის ქვეყანაში.

ომბუდსმენს ირჩევს ევროპარლამენტი ხუთი წლის ვადით, რომლის გაგრძელებაც შესაძლებელია. ეს ვადა შეესაბამება პარლამენტის საკანონმდებლო ვადას.

რას აკეთებს ევროპის ომბუდსმენი?

ომბუდსმენი ხელს უწყობს ევროპულ ინსტიტუტებსა და ევროკავშირის სხვა უწყებებში „არასათანადო ადმინისტრირების“ შემთხვევათა გამოვლენას. „არასათანადო ადმინისტრირება“ ნიშნავს ცუდ ან წარუმატებელ მართვას სხვაგვარად რომ ვთქვათ, როდესაც ევროკავშირის ინსტიტუტი ვერ აკეთებს რაღაცას, რაც უნდა გაეკეთებინა, ან ცუდად აკეთებს, ან აკეთებს იმას, რაც არ უნდა გაეკეთებინა. ქვემოთ ჩამოთვლილია არასათანადო ადმინისტრირების მაგალითები:

- უსამართლობა;
- დისკრიმინაცია;
- ძალაუფლების ბოროტად გამოყენება;
- ინფორმაციის ნაკლებობა ან მის მიღებაზე უარის თქმა;
- დაყოვნება თუ შეფერხება, რომელიც არ არის აუცილებელი;
- არასწორი პროცედურები.

ნიკიფოროს დიამანდურუსმა ომბუდსმენის თანამდებობა 2003 წლის აპრილში დაიკავა.

ომბუდსმენს შეუძლია რეკომენდაციების გაწევა ევროკავშირის ინსტიტუტებისთვის და საკითხის წარდგენა ევროპარლამენტისათვის, რათა მან მიიღოს ნებისმიერი აუცილებელი პოლიტიკური ზომა.

ომბუდსმენი აბსოლუტურად დამოუკიდებლად და მიუკერძოებლად მოქმედებს. ის არ ითხოვს და არ იღებს მითითებებს არც ერთი მთავრობისა თუ ორგანიზაციისაგან. გარდა ამისა, თავისი მუშაობის ვადის განმავლობაში ომბუდსმენს არა აქვს უფლება, შეასრულოს რაიმე სხვა პროფესიული საქმიანობა (ანაზღაურებით თუ ანაზღაურების გარეშე).

როგორ შეგიძლიათ ომბუდსმენისთვის საჩივრის წარდგენა

თუ ევროკავშირში ცხოვრობთ (ან ევროკავშირში არსებულ კომპანიას თუ დაწესებულებას წარმოადგენთ) და მიგაჩნიათ, რომ ევროკავშირის ინსტიტუტის თუ რომელიმე უწყების მხრიდან "არასათანადო ადმინისტრირების" შედეგად დაზარალებული ხართ, პირველ რიგში უნდა დაუკავშირდეთ ამ ინსტიტუტს თუ უწყებას ჩვეულებრივი ადმინისტრაციული გზებით და შეეცადოთ, გამოასწორებინოთ მდგომარეობა.

თუ ამგვარი მოქმედების შედეგად არაფერი გამოგივიდათ, შეგიძლიათ საჩივარი წარუდგინოთ ევროპის ომბუდსმენს.

საჩივარი ევროპის ომბუდსმენს უნდა წარუდგინოთ **ორი წლის განმავლობაში** იმ დღიდან, როდესაც შეიტყობთ არასათანადო ადმინისტრირების შემთხვევის შესახებ. საჩივარში გარკვევით უნდა მიუთითოთ თქვენი ვინაობა და რასთან დაკავშირებით შეგაქვთ ეს საჩივარი, თუმცა შეგიძლიათ ითხოვოთ კონფიდენციალურობის დაცვა. საჭიროების შემთხვევაში ომბუდსმენმა შეიძლება გირჩიოთ სხვა ორგანოსთვის მიმართვა.

ომბუდსმენი არ განიხილავს საჩივარს, თუ თქვენს მიერ მითითებულ ფაქტებთან დაკავშირებით მიმდინარეობს ან ჩატარებულია სასამართლო განხილვა.

საჩივრის შეტანის თაობაზე პრაქტიკული მითითებებისთვის იხილეთ ევროპის ომბუდსმენის ვებგვერდი ინტერნეტში.

როგორ არის ორგანიზებული ომბუდსმენის სამუშაო?

ევროპის ომბუდსმენი განიხილავს საქმეებს საკუთარი ინიციატივით ან საჩივრის საფუძველზე.

ევროკავშირის ინსტიტუტები და სხვა უწყებები ვალდებულნი არიან, მიაწოდონ ომბუდსმენს მის მიერ მოთხოვნილი ნებისმიერი ინფორმაცია და მისცენ მას შესაბამისი საქმეების შესწავლის შესაძლებლობა. მათ შეიძლება უარი თქვან ამის გაკეთებაზე მხოლოდ კონფიდენციალურობის დაცვის დასაბუთებული მიზეზით.

თუ ომბუდსმენი აღმოაჩენს არასათანადო ადმინისტრირების შემთხვევას, ის შეატყობინებს ამის თაობაზე შესაბამის ინსტიტუტს და მიაწვდის რეკომენდაციების პროექტს. ინსტიტუტმა სამი თვის განმავლობაში უნდა წარმოადგინოს თავისი დეტალური დასკვნა საკითხთან დაკავშირებით.

ამის შემდეგ ომბუდსმენი ანგარიშს წარუდგენს ევროპარლამენტს და შესაბამის ინსტიტუტს. გარდა ამისა, ის შეატყობინებს მომჩივანს განხილვის შედეგებს.

ომბუდსმენი ყოველწლიურად წარუდგენს ევროპარლამენტს ანგარიშს მის მიერ განხილულ ყველა საქმესთან დაკავშირებით.

უწყებები

უწყება არ არის ევროკავშირის ინსტიტუტი: ეს არის ევროკავშირის მიერ ძალზე სპეციფიკური ტექნიკური, სამეცნიერო თუ მმართველობითი ამოცანების შესრულების მიზნით დაარსებული ორგანო.

ევროკავშირის ინსტიტუტები (პარლამენტი, საბჭო, კომისია და ა.შ.) ევროპული ხელშეკრულებების საფუძველზე დაარსდა, უწყებების დაარსებას კი ეს ხელშეკრულებები არ ითვალისწინებს. თითოეული მათგანის ჩამოყალიბებას საფუძვლად დაედო კანონმდებლობის დამოუკიდებელი ნაწილი, რომელიც განსაზღვრავს ყოველი კონკრეტული უწყების ამოცანებს. სიტყვა „უწყება“ არ გვხვდება ყველა ამ უწყების ოფიციალურ დასახელებაში: მათ შეიძლება ეწოდებოდეს ცენტრი, ინსტიტუტი, ფონდი, სამსახური ან ორგანო.

ამჟამად 19 უწყება არსებობს. ორი მათგანი – უშიშროებასთან დაკავშირებული საკითხების შემსწავლელი ევროპული ინსტიტუტი და ევროკავშირის სატელიტური ცენტრი – ჩამოყალიბდა საერთო საგარეო და უშიშროების პოლიტიკის საფუძველზე (იხ. ზემოთ, თავი ევროკავშირის საბჭოს შესახებ). კიდევ ორი – „ევროპოლი“ და „ევროჯასტი“ მნიშვნელოვან როლს ასრულებს მართლმსაჯულებისა და შინაგან საქმეთა სფეროში ევროკავშირის ქვეყნებს შორის თანამშრომლობაში. ამ უწყებათა საქმიანობა ქვემოთ არის აღწერილი.

დანარჩენ 15 უწყებას აკისრია გარკვეული ამოცანები ევროკავშირის „პირველი საყრდენი ბურჯის“ – ე. წ. „თანამეგობრობის“ კომპეტენციის სფეროს – ფარგლებში. ქვემოთ მოკლედ არის აღწერილი თითოეული უწყების საქმიანობა.

პროფესიული მომზადების განვითარების ევროპული ცენტრი

1975 წელს დაარსებული პროფესიული მომზადების განვითარების ევროპული ცენტრი (Cedefop) თესალონიკში, საბერძნეთში მდებარეობს.

ცენტრის დანიშნულებაა პროფესიული სწავლებისა და მომზადების სისტემებთან, პოლიტიკასთან, კვლევასა და პრაქტიკასთან დაკავშირებული ინფორმაციის ანალიზი და უზრუნველყოფა. ეს ეხმარება სპეციალისტებს მთელი ევროკავშირის მასშტაბით, განავითარონ და გააუმჯობესონ პროფესიული სწავლება და მომზადება ევროპაში.

პროფესიული მომზადების განვითარების ევროპული ცენტრი აწარმოებს ინტერაქტიულ ვებგვერდს სახელწოდებით “European Training Village“, რომელიც შეგიძლიათ იხილოთ ინტერნეტში შემდეგ მისამართზე: *www.trainingvillage.gr*

დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ მოიძიოთ მისამართზე: *www.cedefop.eu.int*

საცხოვრებელი და სამუშაო პირობების გაუმჯობესების ევროპული ფონდი

1975 წელს დაარსებული საცხოვრებელი და სამუშაო პირობების გაუმჯობესების ევროპული ფონდი (Eurofound) დუბლინში, ირლანდიაში მდებარეობს.

ფონდის ამოცანებია:

- სოციალური და დასაქმების პოლიტიკის სფეროში გადაწყვეტილებათა მიმღებ პირთათვის კონსულტაციების გაწევა;
- საცხოვრებელი და სამუშაო პირობების შეფასება და გაანალიზება;
- სიახლეებისა და ტენდენციების თაობაზე ანგარიშების მომზადება;
- ცხოვრების პირობების გაუმჯობესებაში თავისი წვლილის შეტანა.

დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ მოიძიოთ შემდეგ მისამართზე: *www.eurofound.eu.int*

ევროპის გარემოსდაცვითი სააგენტო

ევროპის გარემოსდაცვითი სააგენტო (EEA) 1990 წელს დაარსდა. იგი კოპენჰაგენში, დანიაში მდებარეობს.

სააგენტოს დანიშნულებაა ევროპაში გარემოს მდგომარეობისა და ამ თვალსაზრისით არსებული ტენდენციების თაობაზე ინფორმაციის შეგროვება და გავრცელება. სააგენტოში შესვლა იმ სახელმწიფოებსაც შეუძლიათ, რომლებიც არ არიან ევროკავშირის წევრები: ისლანდია, ლიხტენშტეინი და ნორვეგია ევროპის გარემოსდაცვით სააგენტოში მისი დაარსების დღიდან შედიან. სააგენტო აქტიურად თანამშრომლობს გარემოსდაცვით უწყებებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან.

დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ მოიძიოთ შემდეგ მისამართზე: *www.eea.eu.int*

ტრეინინგის ევროპული ფონდი

1990 წელს დაარსებული ტრეინინგის ევროპული ფონდი (ETF) ტურინში, იტალიაში მდებარეობს.

ფონდი ხელს უწყობს პროფესიული მომზადების გაუმჯობესებას დაახლოებით 40 სახელმწიფოში, რომლებიც არ არიან ევროკავშირის წევრები. ამ სახელმწიფოებს განეკუთვნებიან კანდიდატი ქვეყნები და მეზობელ რეგიონებში, მაგალითად, ჩრდილოეთ აფრიკაში, ახლო აღმოსავლეთში, ბალკანეთის ნახევარკუნძულსა და ყოფილ საბჭოთა კავშირში მდებარე ქვეყნები.

ტრეინინგის ევროპული ფონდი ამ ქვეყნებს სთავაზობს ცოდნასა და გამოცდილებას ახალი სამსახურისთვის ადამიანთა მომზადების სფეროში, აგრეთვე, მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის პროგრამების შემუშავებაში.

დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ მოიძიოთ შემდეგ მისამართზე: *www.etf.eu.int*

ნარკოტიკებისა და ნარკომანიის მონიტორინგის ევროპული ცენტრი

1993 წელს ჩამოყალიბებული ნარკოტიკებისა და ნარკომანიის მონიტორინგის ევროპული ცენტრი (EMCDDA) ლისაბონში (პორტუგალია) მდებარეობს.

ცენტრის დანიშნულებაა ევროპაში ნარკოტიკებისა და ნარკომანიის თვალსაზრისით არსებული მდგომარეობის შესახებ ობიექტური, სარწმუნო და შესატყვისი ინფორმაციის შეგროვება და გავრცელება. ცენტრი თანამშრომლობს როგორც ევროკავშირის არაწევრ ქვეყნებთან, ისე საერთაშორისო ორგანიზაციებთან, როგორიც არის, მაგალითად, გაერო-ს ნარკოტიკების კონტროლის საერთაშორისო პროგრამა (UNDCP), მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია (WHO), ევროპის საბჭოს პომპიდუს ჯგუფი, მსოფლიო საბაჟო ორგანიზაცია (WCO), კრიმინალური პოლიციის საერთაშორისო ორგანიზაცია (Interpol) და ევროპის პოლიციის სამსახური (Europol).

დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ მოიძიოთ შემდეგ მისამართზე: *www.emcdda.org*

სამკურნალო პროდუქტების შეფასების ევროპული სააგენტო

1993 წელს დაარსებული სამკურნალო პროდუქტების შეფასების ევროპული სააგენტო (EMEA) ლონდონში (გაერთიანებული სამეფო) მდებარეობს. სააგენტო ხელს უწყობს ევროპაში ჯანმრთელობის დაცვას და გაუმჯობესებას: აფასებს როგორც ადამიანისთვის, ისე ვეტერინარული გამოყენებისთვის განკუთვნილ მედიკამენტთა ხარისხს. სააგენტოში გაერთიანებულია სამეცნიერო გამოცდილება ევროკავშირის ყველა ქვეყნიდან.

ზოგიერთი ტიპის სამკურნალო საშუალებები, რომლებიც ბიოტექნოლოგიით იწარმოება, ევროპაში შეიძლება გაიყიდოს მხოლოდ მას შემდეგ, რაც მათ საგულდაგულოდ შეამოწმებს სამკურნალო პროდუქტების შეფასების ევროპული სააგენტო. თუ სააგენტო აღმოაჩენს, რომ პროდუქტი უსაფრთხო და მაღალი ხარისხისაა, ევროკომისიას შეუძლია დართოს ევროკავშირის ყველა ქვეყანაში მისი გაყიდვის უფლება. იმ ადამიანებს, რომელთაც სურთ სხვა ნოვატორული მედიკამენტებით ვაჭრობა, აგრეთვე შეუძლიათ გააკეთონ განაცხადი ამ სახის ნებართვასთან დაკავშირებით.

ყველაზე ტრადიციული მედიკამენტების გაყიდვის უფლებას ევროკავშირის თითოეული ცალკეული

წევრი ქვეყანა იძლევა. სააგენტო ხელს უწყობს წევრი სახელმწიფოების მიერ გაცემულ ნებართვათა ურთიერთაღიარების სისტემის მოქმედებას.

დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ მოიძიოთ შემდეგ მისამართზე: *www.emea.eu.int*

შიდა ბაზარზე შესაბამისობის (სავაჭრო ნიშნებისა და მოდელების თვალსაზრისით) დამყარების სამსახური

1994 წელს დაარსებული შიდა ბაზარზე შესაბამისობის დამყარების სამსახური (OHIM) ალიკანტეში (ესპანეთი) მდებარეობს.

სამსახურის დანიშნულებაა თანამეგობრობის მასშტაბით არსებული სავაჭრო ნიშნებისა და მოდელებისთვის სარეგისტრაციო პროცედურების წარმოება.

„თანამეგობრობის სავაჭრო ნიშნების“ სისტემა ამარტივებს ცხოვრებას და ევროპულ კომპანიებს უმცირებს ხარჯებს. მეწარმეს, რომელსაც სურს დაიცვას თავისი სავაჭრო ნიშანი ევროპაში, აღარ სჭირდება ევროკავშირის ყველა ქვეყანაში ერთი და იმავე სავაჭრო ნიშნის რეგისტრაცია. შიდა ბაზარზე შესაბამისობის დამყარების სამსახურის მეშვეობით მას შეუძლია გააკეთოს განაცხადი ერთ, თანამეგობრობის მასშტაბით მოქმედ, სავაჭრო ნიშანზე, რომელიც აძლევს მას უფლებას, აუკრძალოს სხვა კომპანიებს იმავე ან მსგავსი ნიშნების გამოყენება ევროკავშირში.

დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ მოიძიოთ შემდეგ მისამართზე: *oami.eu.int*

სამუშაო ადგილებზე უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის ევროპული სააგენტო

1994 წელს დაარსებული სამუშაო ადგილებზე უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის ევროპული სააგენტო (EU-OSHA) ბილბაოში (ესპანეთი) მდებარეობს.

არც ერთ ქვეყანას არ შეუძლია წარმატებით გაართვას თავი პროფესიული უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის თვალსაზრისით ევროპაში დღეს არსებულ უამრავ პრობლემას. სწორედ ამიტომ, ამ საკითხებში (განსაკუთრებით პრევენციულ ზომებთან დაკავშირებით) ევროპის უზარმაზარი ცოდნისა და ინფორმაციის გასაერთიანებლად, დაარსდა სამუშაო ადგილებზე უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის ევროპული სააგენტო.

გარდა უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის საკითხებთან დაკავშირებული ვებგვერდების კომპლექსური ქსელის განვითარებისა, სააგენტო ახორციელებს გამოცემების პროგრამას, რომლის ფარგლებშიც გამოიცემა ძალზე ფართო სპექტრის მასალა, დაწყებული სპეციალური ინფორმაციის თაობაზე ანგარიშებით, დამთავრებული კამპანიების მასალებით.

სამუშაო ადგილებზე უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის ევროპული სააგენტოს სამუშაოს ხელმძღვანელობს ადმინისტრაციული საბჭო, რომელშიც შედიან პროფესიული კავშირების, დამსაქმებელთა ორგანიზაციების, წევრი ქვეყნების მთავრობებისა და ევროკომისიის წარმომადგენლები.

დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ მოიძიოთ შემდეგ მისამართზე: *europe.osha.eu.int*

თანამეგობრობაში არსებულ მცენარეთა სახეობების სამსახური

თანამეგობრობაში არსებულ მცენარეთა სახეობების სამსახური (CPVO) ანჟერში, საფრანგეთში მდებარეობს. იგი 1994 წელს დაარსდა.

სამსახურის დანიშნულებაა მცენარეთა სახეობებზე უფლებათა სისტემის (მცენარეებთან დაკავ-შირებული საწარმოო საკუთრების უფლებების ფორმა) მართვა.

თანამეგობრობაში არსებულ მცენარეთა სახეობების სამსახური შიდა ბაზარზე შესაბამისობის დამყარების სამსახურის მსგავსად მუშაობს: მისი მოვალეობაა მცენარეთა ახალი სახეობებისთვის საწარმოო საკუთრების დაცვის უფლებათა მინიჭება. ეს უფლებები 25 ან 30 წლიანი პერიოდის ვადით მოქმედებს.

დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ მოიძიოთ შემდეგ მისამართზე: *www.cpvo.eu.int*

მთარგმნელობითი ცენტრი

1994 წელს დაარსებული მთარგმნელობითი ცენტრი (CdT) ლუქსემბურგში მდებარეობს.

თვითდაფინანსებაზე მყოფი ცენტრი დაარსდა, რათა დაეკმაყოფილებინა ევროკავშირის სხვა, დეცენტრალიზებული უწყებების მოთხოვნილება მთარგმნელობით მომსახურებაზე. ნებაყოფლობითი თანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულებათა საფუძველზე ცენტრი მომსახურებას სთავაზობს ევროკავშირის ინსტიტუტებსა და სხვა უწყებებსაც, რომლებსაც საკუთარი მთარგმნელობითი სამსა–ხურები აქვთ.

დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ მოიძიოთ შემდეგ მისამართზე: *www.cdt.eu.int*

რეკონსტრუქციის ევროპული სააგენტო

რეკონსტრუქციის ევროპული სააგენტო (EAR) 1999 წელს დაარსდა. სააგენტოს მთავარი ოფისი თესალონიკში (საბერძნეთი) მდებარეობს, ხოლო სამუშაო ცენტრები – ბელგრადში, პრისტინაში, პოდგორიცასა და სკოპიეში.

სააგენტოს ამოცანაა ევროკავშირის იმ ძირითადი პროგრამების მართვა, რომლებიც მიმართულია ბალკანეთის ნახევარკუნძულის რეგიონში ამ უკანასკნელ ხანს წარმოებული ომებისაგან დაზარალებული ქვეყნებისთვის რეკონსტრუქციის სფეროში დახმარების გასაწევად.

რეკონსტრუქციის ევროპული სააგენტო ევროპული საბჭოსა და ევროპარლამენტის წინაშეა ანგარიშვალდებული. სააგენტოს მმართველი საბჭო შედგება ევროკომისიისა და ევროკავშირის წევრ სახელმწიფოთა წარმომადგენლებისგან. ყოველ–წლიურად საბჭო მართავს დაახლოებით 1,6 მილიარდი ევროს ღირებულების დახმარებისკენ მიმართულ პროგრამას.

დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ მოიძიოთ შემდეგ მისამართზე: *www.ear.eu.int*

რასიზმისა და ქსენოფობიის მონიტორინგის ევროპული ცენტრი

რასიზმისა და ქსენოფობიის მონიტორინგის ევროპული ცენტრი (EUMC) ვენაში, ავსტრიაში მდებარეობს. იგი 1997 წელს დაარსდა.

ცენტრის უმთავრესი ამოცანაა ევროკავშირისა და მისი წევრი სახელმწიფოებისთვის ევროპაში რასიზმთან, ქსენოფობიასა და ანტისემიტიზმთან დაკავშირებული ობიექტური, სარწმუნო და შესატყვისი მონაცემების მიწოდება და ამ პრობლემების მოსაგვარებლად ევროკავშირის მასშტაბით სტრატეგიის შემუშავება.

რასიზმისა და ქსენოფობიის მონიტორინგის ევროპული ცენტრი შეისწავლის რასიზმისა და ქსენოფობიის მასშტაბსა და გავრცელებას და აანალიზებს მათ მიზეზებსა და შედეგებს. გარდა ამისა, ცენტრი აშუქებს და ფართოდ ავრცელებს მიგრანტებისა და ეთნიკურ და რელიგიურ უმცირესობათა სათანადო ინტეგრაციასთან დაკავშირებულ თვალსაჩინო მაგალითებს.

რასიზმისა და ქსენოფობიის მონიტორინგის ევროპული ცენტრის სამუშაოს არსებითი ნაწილია რასიზმთან და ქსენოფობიასთან დაკავშირებული ევროპული საინფორმაციო ქსელი (RAXEN). ეს ქსელი შედგება 15 „ეროვნული ცენტრალური პუნქტისაგან“ (თითო ყოველ წევრ სახელმწიფოში). პუნქტები აგროვებენ, ერთმანეთს ადარებენ და ავრცელებენ მათ ქვეყნებში რასიზმისა და ქსენოფობიის მხრივ არსებული მდგომარეობის თაობაზე ინფორმაციას.

დამატებითი მასალა შეგიძლიათ მოიძიოთ მისამართზე: *www.eumc.eu.int*

საკვები პროდუქტების უსაფრთხოების ევროპული უწყება

საკვები პროდუქტების უსაფრთხოების ევროპულმა უწყებამ (EFSA) 2002 წელს დაიწყო მუშაობა. იგი დროებით ბრიუსელში, ბელგიაში მდებარეობს.

უწყების ძირითადი მოვალეობაა საკვები პროდუქტების უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ ყველა საკითხზე დამოუკიდებელი სამეცნიერო კონსულტაციის უზრუნველყოფა. უწყება აფასებს

საკვები პროდუქტების ჯაჭვისთვის არსებულ რისკებს და ატარებს ნებისმიერი იმ საკითხის სამეცნიერო შეფასებას, რომელმაც შეიძლება ზემოქმედება მოახდინოს ევროპაში საკვები პროდუქტების უსაფრთხოებაზე.

უწყების მუშაობის სფეროში შედის საკვები პროდუქტების წარმოების მთელი პროცესი „ფერმიდან ჩანგლამდე“ – სხვაგვარად რომ ვთქვათ, პირველადი წარმოებიდან (აქ ცხოველების საკვების უსაფრთხოებაც იგულისხმება) საკვები პროდუქტების მომხმარებლისთვის მიწოდებამდე. საკვები პროდუქტების უსაფრთხოების ევროპული უწყება აგროვებს ინფორმაციას მთელი მსოფლიოდან, თვალყურს ადევნებს მეცნიერების მიღწევებს. თავის აღმოჩენებს უწყება არა მარტო ექსპერტებსა და გადაწყვეტილებათა მიმღებ პირებს უზიარებს, არამედ ფართო საზოგადოებასაც.

დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ მოიძიოთ შემდეგ მისამართზე: *www.efsa.eu.int*

საზღვაო უსაფრთხოების ევროპული სააგენტო

საზღვაო უსაფრთხოების ევროპული სააგენტო (EMSA) 2002 წელს დაარსდა. მისი მიზანია, დახმარება გაუწიოს ევროპის საზღვაო უსაფრთხოების სისტემის გაუმჯობესებას, შეამციროს საზღვაო კატასტროფათა რისკი, ზღვის დაბინძურება გემების მიერ და ზღვით მოგზაურობისას ადამიანთა დაღუპვა.

სააგენტოს მოვალეობაა ტექნიკური და სამეცნიერო კონსულტაციის გაწევა საზღვაო უსაფრთხოებასა და გემების მიერ ზღვის დაბინძურებასთან დაკავშირებული ევროპული კანონმდებლობის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნით. სააგენტო ეხმარება ევროკომისიას იმის გაკონტროლებაში, თუ რას აკეთებენ ამ თვალსაზრისით ევროკავშირი და კანდიდატი ქვეყნები, შემდეგ კი კონსულტაციას უწევს ამ ქვეყნების მთავრობებს.

საზღვაო უსაფრთხოების ევროპული სააგენტოს სხვადასხვა ამოცანებს შორის არის საზღვაო კატასტროფების გამოძიებისა და საზღვაო მოძრაობასთან დაკავშირებული ინფორმაციის ევროპული სისტემის შექმნისათვის საერთო–ევროპული მეთოდოლოგიის შემუშავება.

დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ მოიძიოთ შემდეგ მისამართზე: *europa.eu.int/agencies/emsa*

საავიაციო უსაფრთხოების ევროპული სააგენტო

საავიაციო უსაფრთხოების ევროპული სააგენტო (EASA) 2002 წელს დაარსდა.

სააგენტოს ფუნქციაა, ხელი შეუწყოს საავიაციო უსაფრთხოების სფეროში ევროპული კანონებისა და წესების შექმნას და დახმარება გაუწიოს ევროკომისიას ევროკავშირის წესების სათანადოდ შესრულების გაკონტროლებაში. გარდა ამისა, სააგენტო ტექნიკურ დახმარებას გაუწევს იმ საერთაშორისო ორგანიზაციებს, რომლებიც პასუხს აგებენ სამოქალაქო ავიაციის უსაფრთხოებაზე და გარემოს დაცვაზე, დაეხმარება, აგრეთვე, ავიაციის ხელმძღვანელ ორგანოებს იმ ქვეყნებში, რომლებიც არ არიან ევროკავშირის წევრები.

საავიაციო უსაფრთხოების ევროპულ სააგენტოს აქვს უფლება, განახორციელოს გარკვეული სახის აღმასრულებელი საქმიანობა, როგორიც არის, მაგალითად, საავიაციო პროდუქციისთვის ტიპის სერტიფიკატების მინიჭება. ეს იმ ტიპის საქმიანობაა, რომელშიც უფრო მეტი შედეგი კოლექტიურ ქმედებებს ექნება, ვიდრე წევრი სახელმწიფოების მხრიდან ინდივიდუალურ მოქმედებას.

დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ მოიძიოთ შემდეგ მისამართზე: *europa.eu.int/agencies/easa*

„ევროპოლი“

„ევროპოლი“, ევროპის პოლიციის სამსახური, 1992 წელს დაარსდა ევროპის მასშტაბით კრიმინალური დაზვერვის ღონისძიებათა მართვის მიზნით. სამსახური ჰაგაში (ნიდერლანდები) მდებარეობს. მის შემადგენლობაში შედიან წევრი ქვეყნების სამართალდამცავი ორგანოების (პოლიციის, საბაჟო სამსახურის, საიმიგრაციო სამსახურის და ა.შ.) წარმომადგენლები.

„ევროპოლის“ დანიშნულებაა ევროკავშირის წევრი სახელმწიფოებისთვის დახმარების გაწევა უფრო მჭიდრო და ეფექტიან თანამშრომლობაში და ორგანიზებული საერთაშორისო დანაშაულის

თავიდან აცილებასა და მასთან ბრძოლაში. ორგანიზებულ საერთაშორისო დანაშაულში იგულისხმება:

- ნარკოტიკებით ვაჭრობა;
- საიმიგრაციო ქსელები;
- საავტომობილო საშუალებებით ვაჭრობა;
- ადამიანებით ვაჭრობა, მათ შორის, ბავშვთა პორნოგრაფია;
- ფულის გაყალბება და გადახდის სხვა მსგავსი ხერხები;
- რადიოაქტიული და ბირთვული ნივთიერებებით ვაჭრობა;
- ტერორიზმი.

„ევროპოლი“ დახმარებას უწევს წევრ სახელმ-წიფოებს:

- უადვილებს წევრი ქვეყნების სამართალდამცავ ორგანოებს ინფორმაციის გაცვლას;
- უზრუნველყოფს ოპერაციათა ანალიზს;
- უზრუნველყოფს ანგარიშებსა და დანაშაულების ანალიზს;
- უზრუნველყოფს ცოდნას და გამოცდილებას, აგრეთვე, ტექნიკურ დახმარებას გამოძიებებისა და ოპერაციებისათვის.

„ევროპოლის“ ერთ-ერთი მოვალეობაა კომპიუტერი-ზებული სისტემის დაარსება და წარმართვა. ეს სისტემა უზრუნველყოფს მონაცემთა შეტანას, ხელმისაწვდომობას და ანალიზს. ერთობლივი სამეთვალყურეო საბჭო, რომელშიც შედის მონაცემთა დაცვის ორ-ორი ექსპერტი ევრო-კავშირის თითოეული ქვეყნიდან, აკონტროლებს „ევროპოლის“ ხელთ არსებული მთელი პერსო-ნალური მონაცემების შინაარსსა და გამოყენებას.

„ევროპოლი“ ანგარიშვალდებულია მართლმსაჯუ-ლებისა და შინაგან საქმეთა საბჭოს, ე.ი. ევროკავშირის წევრი ყველა ქვეყნის იუსტიციისა და შინაგან საქმეთა მინისტრების, წინაშე. „ევროპოლის“ მმართველ საბჭოში შედის თითო წარმომადგენელი ევროკავშირის თითოეული სახელმწიფოდან.

დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ მოიძიოთ შემდეგ მისამართზე: *www.europol.eu.int*

„ევროჯასტი“

„ევროჯასტი“ 2002 წელს დაარსდა, რათა დახმარება გაეწია ევროკავშირის წევრ სახელმწიფოთა **პროკურატურებისთვის,** ეთანამშრომლათ სერიოზულ საერთაშორისო დანაშაულთან, მათ შორის, კომპიუტერულ დანაშაულთან, თაღლითობასა და კორუფციის შემთხვევებთან, ფულის გათეთრებასა და გარემოსთან დაკავშირებულ დანაშაულთან ბრძოლაში. „ევროჯასტი“ უადვილებს წევრი ქვეყნების ხელისუფლების ორგანოებს ინფორმაციის გაცვლას, ერთმანეთისთვის იურიდიულ სფეროში დახმარების გაწევას და დასაკითხად ძებნილი პირების ექსტრადიციას. ორგანიზაციის დროებითი ადგილსამყოფელი ჰაგაშია (ნიდერლანდები).

„ევროჯასტის“ შემადგენლობაში შედის ევროკავშირის წევრი ყოველი სახელმწიფოდან მივლინებული თითო პროკურორი, მოსამართლე ან პოლიციის ოფიცერი. ეს თანამშრომლები შეადგენენ ორგანიზაციის ე. წ. „კოლეგიას“ (ანუ მმართველ საბჭოს) და თავიანთი რიგებიდან სამწლიანი ვადით ირჩევენ პრეზიდენტს. კოლეგიას დახმარებას უწევს სამდივნო და ევროკავშირის ქვეყნების თანამდებობის პირებისა და მივლინებული ექსპერტებისგან შემდგარი შტატი.

ვინაიდან „ევროჯასტის“ მუშაობა მოიცავს ეჭვმიტანილ ბოროტმოქმედებთან დაკავშირებული საქმეების შენახვას, ორგანიზაციას ჰყავს მონაცემთა დაცვის სპეციალისტი, რომლის მოვალეობაა, უზრუნველყოს, რომ პერსონალური მონაცემები „ევროჯასტის“ საქმეებში სათანადოდ, კანონის შესაბამისად იყოს დაცული და მართული. ყოველ ადამიანს აქვს უფლება, შეიტყოს „ევროჯასტისგან“, თუ რა სახის ინფორმაციას ფლობს ორგანიზაცია (თუკი მას აქვს რაიმე ინფორმაცია) მის შესახებ და სთხოვოს „ევროჯასტს“ ამ ინფორმაციის შესწორება ან წაშლა, თუკი ის არასწორი ან არასრულია.

დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ მოიძიოთ შემდეგ მისამართზე: *www.eurojust.eu.int*

მზერა მომავლისაკენ

ევროკავშირის გადაწყვეტილებათა მიღების სისტემა ნახევარი საუკუნის განმავლობაში ვითარდებოდა. მაგრამ თავიდან იგი ექვსი ქვეყნისგან შემდგარი თანამეგობრობისთვის იყო განკუთვნილი. ვინაიდან ევროკავშირი აპირებს გაფართოებას 15-დან შესაძლოა 27 წევრამდე, პარალიზების თავიდან ასაცილებლად საჭიროა გადაწყვეტილებათა მიღების მისი სისტემის მოდერნიზება. ნიცის ხელშეკრულებაში უკვე გათვალისწინებულია გარკვეული ზომები აღნიშნული პრობლემების მოსაგვარებლად.

მაგრამ დასაზუსტებელია ევროკავშირის მომავალთან დაკავშირებული უფრო მნიშვნელოვანი საკითხებიც, მაგალითად:

- რა მიზნებს და ამოცანებს ისახავს გაფართოებული ევროკავშირი (სხვაგვარად რომ ვთქვათ, რისი მიღწევა უნდათ წევრ სახელმწიფოებს ერთობლივად მომავალში?)?
- როგორი საერთო პოლიტიკა იქნება საჭირო ამ მიზნების მისაღწევად?
- რა სახის გადაწყვეტილებები უნდა იქნეს მიღებული ევროკავშირის დონეზე და რა უნდა დარჩეს წევრი ქვეყნების ეროვნული თუ რეგიონული ხელისუფლების კომპეტენციაში?
- რა როლი უნდა შეასრულონ წევრი ქვეყნების პარლამენტებმა ევროკავშირის მასშტაბის გადაწყვეტილებათა მიღებაში?

მოკლედ რომ ვთქვათ, ვინ რის გაკეთებაზე უნდა იყოს პასუხისმგებელი და როგორ უნდა იქნეს მიღებული დემოკრატიული გადაწყვეტილებები ევროკავშირში, რომელშიც შევა 27 ან მეტი წევრი ნახევარი მილიარდი მოსახლეობით?

ამ და სხვა საკითხებზე სასაუბროდ 2002 წელს შეიქმნა კონვენტი, რომელშიც შედიან ყველა წევრი სახელმწიფოსა და კანდიდატი ქვეყნების, აგრეთვე, ევროკავშირის ინსტიტუტების წარმომადგენლები.

დამატებითი ინფორმაცია ევროპის „მომავლის კონვენტთან“ დაკავშირებით შეგიძლიათ მოიძიოთ ინტერნეტში შემდეგ მისამართზე:
european-convention.eu.int

თუ გსურთ მონაწილეობის მიღება ევროპის მომავლის შესახებ დისკუსიებში, შეგიძლიათ მიმართოთ შემდეგ მისამართზე:
europa.eu.int/futurum/forum

მომავლის პერსპექტივის გათვალისწინებით ევროკავშირმა უნდა გადაწყვიტოს, საით მიდის და როგორ მოხვდეს იქ, საითაც მიდის. მისი მოსახლეობა - განსაკუთრებით, ახალგაზრდა მოსახლეობა - უფრო აქტიურად უნდა მონაწილეობდეს გადაწყვეტილებათა მიღებაში.

კონვენტის საფუძველზე მოწვეული იქნება მთავრობათაშორისი კონფერენცია, რომელიც 2004 წლისთვის არის დაგეგმილი. კონფერენციის დახურვისას ევროკავშირის ქვეყნების პრეზიდენტები და პრემიერ-მინისტრები აპირებენ, ხელი მოაწერონ ახალ, გამარტივებულ ხელშეკრულებას ევროკავშირის შესახებ. ამის მიზანია, ბევრად უფრო ნათლად ჩამოყალიბდეს, რას წარმოადგენს და რა მიმართულებით მოძრაობს ევროკავშირი. ხელშეკრულებაში, აგრეთვე, განისაზღვრება ახალი წესები გადაწყვეტილებათა უფრო რაციონალიზებულად მიღებისათვის.

ევროპული ინსტიტუტები უკვე ახორციელებენ მნიშვნელოვან შიდა რეფორმებს, რათა უფრო ეფექტიანი, უფრო საჯარო და უფრო ანგარიშვალდებულნი გახდნენ. მათ კარგად იციან, რომ ევროკავშირი არსებობს იმიტომ, რომ მოემსახუროს თავის მოქალაქეებს, და ის წარმატებას მხოლოდ იმ შემთხვევაში მიაღწევს, თუ მისი მოქალაქეები გაათვითცნობიერებენ გადაწყვეტილებათა მიღების სისტემას და სრულყოფილ მონაწილეობას მიიღებენ მასში. გაფართოებულ ევროკავშირს მართლაც დასჭირდება რეფორმირებული ინსტიტუტები, რომლებიც შეძლებენ სწრაფად და ეფექტიანად მოქმედებას 21-ე საუკუნეში წამოჭრილი უდიდესი ამოცანების შესასრულებლად.

ევროკომისია

ევროკავშირის ინსტიტუტების მუშაობის მექანიზმი
საინფორმაციო ხასიათის ბროშურა მოქალაქეებისთვის

სერია „ევროპული დოკუმენტაცია“

ლუქსემბურგი: ევროპულ თანამეგობრობათა ოფიციალური გამოცემების სამსახური

ISBN 92-894-5283-8

მხოლოდ ნახევარი საუკუნის განმავლობაში ევროკავშირმა თვალსაჩინო მიღწევები დაგვანახა. მან თავის წევრ სახელმწიფოებს მშვიდობა, ხოლო თავის მოქალაქეებს – კეთილდღეობა მოუტანა. მან შემოიღო საერთოევროპული ფულადი ერთეული (ევრო) და „ერთიანი ბაზარი“ საზღვრების გარეშე: საქონელს, ადამიანებს, მომსახურებასა და კაპიტალს ამ ბაზარზე თავისუფლად შეუძლიათ მოძრაობა. ევროკავშირი გაიზარდა ექვსიდან თხუთმეტ ქვეყანამდე და ემზადება კიდევ თორმეტი სახელმწიფოს შესაერთებლად. იგი უმთავრესი სავაჭრო ძალა და მსოფლიო მასშტაბით ლიდერი გახდა ისეთ სფეროებში, როგორიც არის გარემოს დაცვა და განვითარებაში დახმარება.

ევროკავშირის წარმატება მნიშვნელოვნად უმადლის მისი მუშაობის მექანიზმს – უნიკალურ მეთოდს ურთიერთობისა ისეთ ინსტიტუტებს შორის, როგორიც არის ევროპარლამენტი, ევროკავშირის საბჭო და ევროკომისია. ამ ინსტიტუტებს მუშაობაში მრავალი უწყება უწევს დახმარებას.

წინამდებარე ბროშურაში დაწვრილებით არის განხილული, თუ რას აკეთებს თითოეული ინსტიტუტი და უწყება, განხილულია, აგრეთვე, მათი მუშაობის მექანიზმები. ბროშურის მიზანია, გაარკვიოს მოქალაქეები, თუ როგორ მოქმედებს გადაწყვეტილების მიღების სისტემა დღევანდელ ევროკავშირში.

დამატებითი ინფორმაცია ევროკავშირის შესახებ

ინფორმაცია ევროკავშირის ყველა ოფიციალურ ენაზე შეგიძლიათ იხილოთ ინტერნეტში სერვერის Europa მეშვეობით (http://europa.eu.int).

EUROPE *DIRECT* უფასო სატელეფონო სამსახურია, რომელიც დაგეხმარებათ ევროკავშირის შესახებ შეკითხვებზე პასუხების მიღებაში და მოგაწვდით ინფორმაციას, თუ რა უფლებები და შესაძლებლობები გაქვთ, როგორც ევროკავშირის მოქალაქეს: 00 800 6 7 8 9 10 11

ევროკავშირის ფარგლებს გარედან ზარებისათვის: (32–2) 299 96 96

ინფორმაცია და პუბლიკაციები ევროკავშირის შესახებ ინგლისურად შეგიძლიათ მოიძიოთ შემდეგ ოფისებში:

ევროკომისიის წარმომადგენლობები

წარმომადგენლობა ირლანდიაში
18 Dawson Street, Dublin 2
ტელეფონი: (353-1) 662 51 13
ფაქსი: (353-1) 634 11 12
ინტერნეტი: www.euireland.ie
ელ. ფოსტა: eu-ie-info-request@cec.eu.int

წარმომადგენლობა გაერთიანებულ სამეფოში
Jean Monnet House,
8 Storey's Gate, London SW1P 3AT
ტელეფონი: (44-20) 79 73 19 92
ფაქსი: (44-20) 79 73 19 00/10
ინტერნეტი: www.cec.org.uk

წარმომადგენლობა უელსში
2 Caspian Point, Caspian Way, Cardiff CF10 4 QQ
ტელეფონი: (44-29) 20 89 50 20
ფაქსი: (44-29) 20 89 50 35
ინტერნეტი: www.cec.org.uk

წარმომადგენლობა შოტლანდიაში
9 Alva Street, Edinburgh EH2 4PH
ტელეფონი: (44-131) 225 20 58
ფაქსი: (44-131) 226 41 05
ინტერნეტი: www.cec.org.uk

წარმომადგენლობა ჩრდილოეთ ირლანდიაში
Windsor House
9/15 Bedford Street, Belfast BT2 7EG
ტელეფონი: (44-28) 90 24 07 08
ფაქსი: (44-28) 90 24 82 41
ინტერნეტი: www.cec.org.uk

საინფორმაციო სამსახური აშშ-ში
2300 M Street, NW – 3rd floor
Washington DC 20037
ტელეფონი: (202) 862 95 00
ფაქსი: (202429 17 66

305 East 47th Street
3 Dag Hammarskjöld Plaza
New York, NY 10017
ტელეფონი: (212) 371 38 04
ფაქსი: (212) 688 10 13
ინტერნეტი: www.eurunion.org

ევროპარლამენტის ოფისები

ოფისი ირლანდიაში
European Union House,
43 Molesworth Street, Dublin 2
ტელეფონი: (353-1) 605 79 00
ფაქსი: (353-1) 605 79 99
ინტერნეტი: www.europarl.ie
ელ. ფოსტა: epdublin@europarl.eu.int

ოფისი გაერთიანებულ სამეფოში
2, Queen Anne's Gate, London SW1H 9AA
United Kingdom
ტელეფონი: (44-20) 72 27 43 00
ფაქსი: (44-20) 72 27 43 02
ინტერნეტი: www.europarl.org.uk
ელ. ფოსტა: eplondon@europarl.eu.int

ოფისი შოტლანდიაში
The Tun, 4 Jackson's Entry,
Holyrood Road, Edinburgh EH8 8PJ
ტელეფონი: (44-131) 557 78 66
ფაქსი: (44-131) 557 49 77
ინტერნეტი: www.europarl.org.uk
ელ. ფოსტა: epedinburgh@europarl.eu.int

ევროკომისიისა და ევროპარლამენტის წარმომადგენლობები და ოფისები არსებობს ევროკავშირის ყველა ქვეყანაში. გარდა ამისა, ევროკომისიას აქვს დელეგაციები მსოფლიოს სხვა ნაწილებშიც.